

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ჯაბა შაინიძე

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვისა და ანალიზის  
სრულყოფის საკითხები სს „სილქნეტის“ მაგალითზე

შრომა შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე

თბილისი 2019

## სარჩევი

შესავალი.....	3
თავი I. შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის საკითხები.....	5
1.1. შემოსავლებისა და ხარჯების არსი და კლასიფიკაცია.....	5
1.2. შემოსავლების აღრიცხვის მეთოდთა.....	18
1.3. ხარჯების აღრიცხვის მეთოდთა.....	26
1.4. შემოსავლები, ხარჯები და საწარმოს ფინანსური შედეგები.....	32
თავი II. საანალიზო საწარმოს შემოსავლების ანალიზის შედეგები.....	39
2.1. შემოსავლების ანალიზის მიზანი და საინფორმაციო წყარო.....	39
2.2. შემოსავლების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი.....	44
2.3. შემოსავლების ფაქტორული ანალიზის შედეგები.....	49
თავი III. დანახარჯების ანალიზის შედეგები.....	53
3.1. დანახარჯების მიზანი და საინფორმაციო წყარო.....	53
3.2. დანახარჯების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი.....	55
3.3. შემოსავლების, ხარჯების და მოგების კორელაციური ანალიზი.....	60
დასკვნა.....	73
გამოყენებული ლიტერატურა.....	76
დანართი.....	77

## ანოტაცია

შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა და ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან ის აჩვენებს საწარმოს ფინანსური შედეგის ეფექტანობის დონეს.

**თემა აქტუალურია**, რადგან შემოსავლების და ხარჯების ანალიზის შედეგებზე დამოკიდებული საწარმოს მომავალი განვითარების, ზრდისა და გაზრდილი ფინანსური შედეგის მიღება.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ შემოსავლების და ხარჯების ანალიზი ეხმარება საწარმოს ფინანსური შედეგების ამაღლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე დასახული **ამოცანებია**: საწარმოს შემოსავლების და ხარჯების ზუსტი კლასიფიკაცია და მათი დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, რადგან შესაძლებლობა მიეცეთ მენეჯერებს ზუსტი და სწორი გადაწყვეტილების მიღების.

**კვლევის საგანია** შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის დეტალური მიმოხილვა და ყოველ ეტაპზე მათი ანალიზი საწარმოს ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

**კვლევის ობიექტი**: ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი შესრულებულია სს „სილქნეტის“ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე.

ნაშრომში გამოყენებულია შემოსავლების და ხარჯების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის **მეთოდები**.

**კვლევის შედეგები**. გაანგარიშებულია საანალიზო საწარმოს შემოსავლების და ხარჯების დინამიკური და სტრუქტურული მაჩვენებლები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

# Analysis of how to complete accounting revenue and expenses by JSC

## SILKNET'S example

Jaba Shainidze

### annotation

Accounting and analysis of revenue and **expenses** is important because it shows the effectiveness of the enterprise's financial outcome.

**The topic is relevant** because the revenue and **expenses** analysis results are depend on the future development, growth and increase financial results of the enterprise.

**The purpose** of the work is to provide a reasonable source of revenue and **expenses** analysis to increase the financial plight of the enterprise.

**The objectives** set out in the following are the exact classification of the enterprise revenue and expenses and their grouping according to different marks, as it is possible to provide managers with accurate and correct decision making.

**The study** is a detailed review of the revenue and expenditure accounting and their analysis at every stage for effective functioning of the enterprise.

**The subject** of research: The practical part of the work is done based on the financial statements of JSC Silknet.

The paper uses **methods** of horizontal and vertical analysis of revenue and **expenses**.

**Research Results.** The dynamic and structural indicators of revenue and expenditure of the analytical enterprise are calculated and relevant conclusions are made.

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** საწარმოს ფუნქციონირების ყველაზე მთავარი მიზანი არის მაქსიმალური ფინანსური შედეგის მიღება და მესაკუთრეების კეთილდღეობის ამაღლება, საწარმოს საქმიანობის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს მოგება წარმოადგენს. მოგება ფინანსური ანგარიშგების ორი ელემენტით, შემოსავლებით და ხარჯებით განისაზღვრება. საწარმოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ორი ელემენტის მოცულობის წინასწარ დაგეგმვა და შესრულების კონტროლი. რაც ნიშნავს რომ საწარმოს შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის საკითხების ძალიან აქტუალურია.

საწარმოთა საბოლოო ფინანსური შედეგების ეფექტური მართვისა და კონტროლის მიზნით აუცილებელია შემოსავლებისა და ხარჯების სწორი და ზუსტი აღრიცხვა.

საწარმოებს მუდმივად აქვთ განვითარებისა და გაფართოების სურვილი, რომლის წინამორბედია საწარმოს კარგი ფინანსური შედეგი, რადგან საწარმომ შეძლოს დივიდენდების გაცემის შესაბამისად კაპიტალის რეინვესტირება, ამას კი საწარმო, მხოლოდ კარგი ფინანსური შედეგით ანუ მოგებით უზრუნველყოფს.

შემოსავლების და ხარჯების ელემენტები განსხვავებულია. ამიტომ აუცილებელია შემოსავლების და ხარჯების ელემენტებს შორის იმ განსხვავების დადგენა და მათი დაჯგუფება, რაც საწარმოს საქმიანობის შედეგების სხვადასხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების მეშვეობით დახასიათების საშუალებას იძლევა.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ შემოსავლების და ხარჯების სწორად და ზუსტად აღრიცხვას საწარმოში უჭირავს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი, რადგან შემოსავლებისა და ხარჯების შეპირისპირებით მიღებულ იქნეს საწარმოს საბოლოო ფინანსური შედეგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **კვლევის ამოცანებია:** საწარმოს შემოსავლების და ხარჯების ზუსტი კლასიფიკაციის განხილვა, შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზის საკითხები და მათი კავშირი მოგებასთან, რადგან შესაძლებლობა მიეცეთ მენეჯერებს ზუსტი და სწორი გადაწყვეტილების მიღების, რომელიც აამაღლებს მათ ეფექტიანობას და გაზრდის აქიონერთა კაპიტალს.

ნაშრომის კვლევის საგანია შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის ეტაპები. მათი დეტალური მიმოხილვა ყოველი ეტაპის სწორად შესრულების საჭიროების დამტკიცების მიზნით.

კვლევის ობიექტია სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“. საწარმოში არსებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც გაწეული ან მიღებული იქნა საწარმოს მიერ.

ნაშრომში გამოყენებულია შემოსავლების და ხარჯების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის მეთოდები, რომლის მიხედვით ხდება გაანგარიშებები ფინანსური ანგარიშებიდან აღებული ინფორმაციის ბოლო 5 წლის განმავლობაში.

კვლევის შედეგები გაანგარიშებულია საანალიზო საწარმოს შემოსავლების და ხარჯების დინამიკური და სტრუქტურული მაჩვენებლები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები, რომლებსაც შემდეგში მენეჯერები იყენებენ გადაწყვეტილების მიღებისას რათა აამაღლონ საწაროს ფინანსური შედეგები.

# თავი I. შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის საკითხები

## 1.1. შემოსავლებისა და ხარჯების არსი და კლასიფიკაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში შემოსავლები განისაზღვრება როგორც საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების შემოსვლის ან ზრდის, და ვალდებულებების შემცირების სახით, რასაც მოჰყვება საკუთარი კაპიტალის ზრდა, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე. ცნება „შემოსავლები“ გულისხმობს როგორც ამონაგებს, ასევე შემოსულობებს. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან. იგი სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები, პროცენტი, დივიდენდები და როიალტი.

ამონაგები არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტიციების გარეშე. ამონაგების აღრიცხვის პრინციპული საკითხია იმის დადგენა, თუ როდის უნდა მოხდეს ამონაგების აღიარება. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია მისი ოდენობის საიმედოდ შეფასება. [ზასს 18]<sup>1</sup>.

შემოსულობა გულისხმობს სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემოსავლის შესახებ არსებულ განმარტებას და შეიძლება წარმოიქმნას ან არ წარმოიქმნას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

შემოსულობა გულისხმობს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის გადიდებას და ამ თვალსაზრისით, არ განსხვავდება ამონაგებისგან.

---

<sup>1</sup> ზასს 18. მუხლი 7.

შემოსავლები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგოც საოპერაციო შემოსავალი და არასაოპერაციო შემოსავალი.

საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადები უკავშირდება ერთეულის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებს. საოპერაციო საქმიანობის შედეგად წამოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადებია:

- ა) ფულადი შემოსავლები გადასახადებიდან, მოსაკრებლებიდან და ჯარიმებიდან;
- ბ) ფულადი შემოსავლები ერთეულის მიერ საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან;
- გ) ფულადი შემოსავლები გრანტებიდან ან ტრანსფერებიდან და სხვა ასიგნებებიდან ან საბიუჯეტო უფლებამოსილებებიდან, რომლებიც ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების ან საჯარო სექტორის სხვა ერთეულების მიერ;
- დ) ფულადი შემოსავლები როიალტიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო და სხვა სახის შემოსავლებიდან;
- ე) ფულადი ხარჯები საჯარო სექტორის სხვა ერთეულების მიმართ მათი ოპერაციების დაფინანსებისთვის (სესხების გარდა);
- ვ) ფულადი ხარჯები საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის;
- ზ) თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;
- თ) ფულადი შემოსავლები და ხარჯები სადაზღვევო ერთეულის მიერ სადაზღვევო პრემიების და მოთხოვნების მიმართ, ანუიტეტები და სხვა სადაზღვევო სარგებელი;
- ი) ქონების გადასახადის ან საშემოსავლო გადასახადის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საოპერაციო საქმიანობასთან;
- კ) ფულადი შემოსავლები და ხარჯები წარმოქმნილი ხელშეკრულებებიდან, რომლებიც დადებულია სადილერო ან სავაჭრო მიზნებით;
- ლ) ფულადი შემოსავლები ან ხარჯები დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტასთან;
- მ) ფულადი შემოსავლები ან ხარჯები დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტასთან და სხვა.

საოპერაციო შემოსავლები, ასევე არის ისეთი შემოსავლებია, რომლებიც წარმოიშვება ძირითად ბიზნეს ოპერაციიდან. მაგალითად გაყიდვები და სხვა.



არასაოპერაციო შემოსავალი მიიღება რამდენიმე მხარის საქმიანობიდან. მაგალითად, საპროცენტო შემოსავლები და სხვა<sup>2</sup>.

საწარმოს ეკონომიკური შემოსავალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით არის:

1. ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

ა) საქონლის/მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები;

ბ) აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

გ) ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის ან/და საწარმოს დახურვის შედეგად მიღებული შემოსავლები;

დ) ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული თანხები, ხოლო ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ მიწოდებისას საბაზრო ღირებულება შემოსავალში შეიტანება ამ კოდექსის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით;

ე) კომპენსირებული გამოქვითვები ამ კოდექსის 146-ე მუხლის მიხედვით;

ვ) პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები, გარდა ფიზიკური პირის მიერ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე ფულადი სახსრების განთავსებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავლისა;

ზ) დივიდენდი;

თ) როიალტი;

ი) პირისთვის ვალის ჩამოწერით მიღებული სარგებელი;

კ) ლიზინგით, უზუფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები;

ლ) სხვა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

2. საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი. ეს არ ეხება იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელებას, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არ გააჩნია და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია.

3. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის გამოყენებით ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევის (სასტუმრო

---

<sup>2</sup> <https://accountingexplained.com/financial/introduction/revenue>

ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენების) შედეგად მიღებული შემოსავალი აისახება ტურისტული საწარმოს ერთობლივ შემოსავალში. [საგადასახადო კოდექსი. მუხლი 102]<sup>3</sup>

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებული შემოსავალია, რომელიც დაკავშირებულია ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობასთან. ისეთ საწარმოებს, რომლებიც ახდენენ საქონლის გაყიდვას, წარმოექმნებათ შემოსავლები რეალიზაციიდან. საწარმოებს, რომელთა ძირითად საქმიანობას მომსახურების გაწევა წარმოადგენს, წარმოექმნებათ შემოსავლები მომსახურების გაწევიდან. მომსახურების გაწევა, როგორც წესი, გულისხმობს საწარმოს მიერ მომსახურების შესრულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე. მომსახურების გაწევა შეიძლება დასრულდეს ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან გაგრძელდეს შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებშიც.

საწარმომ საქონლის რეალიზაციის და მომსახურების გაწევის გარდა აგრეთვე, შესაძლებელია შემოსავალი მიიღოს პროცენტის, დივიდენდის და როიალტის სახით.

პროცენტი შემოსავალია, რომელსაც საწარმო იღებს კაპიტალის ყოველ ას ერთეულზე. საპროცენტო შემოსავალს საწარმო ღებულობს მის საკუთრებაში არსებული თავისუფალი ფულადი საშუალებებისა და მათი ეკვივალენტების გამოყენებიდან.

დივიდენდები არის საწარმოს მიერ ინვესტირებული კაპიტალის სანაცვლოდ მიღებული მოგების თანხა, რომლის ანაზღაურებასაც პერიოდულად ახორციელებს სააქციო საზოგადოება თავის აქციონერებზე.

როიალტი არის შემოსავალი, რომელიც მიიღება საწარმოს კუთვნილი გრძელვადიანი აქტივების, მაგალითად, პატენტების სავაჭრო ნიშნების, საავტორო უფლებების და კომპიუტერული უზრუნველყოფის გამოყენების უფლების გადაცემისათვის.

შემოსავლების ცნება გულისხმობს არარეალიზებულ შემოსულობებს, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გადაფასებით ან გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ზრდით.

„ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის

---

<sup>3</sup> საგადასახადო კოდექსი. მუხლი 102

საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან“.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები არის:

1. ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად გამოიქვითვას არ ექვემდებარება.

2. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა ხარჯი დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული.

3. ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯები გამოიქვითება ეტაპობრივად, ამორტიზაციის ანარიცხების სახით, გარდა გადასახადის გადამხდელის მიერ საამორტიზაციო ანარიცხების სრული გამოქვითვის უფლების გამოყენების შემთხვევისა.

4. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, გამოქვითოს მისთვის საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდების შედეგად წარმოშობილი სარგებელი ერთობლივი შემოსავლიდან, ამ კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, იმ საანგარიშო წელს, როდესაც ეს საქონელი ან მომსახურება გამოყენებული იქნება ეკონომიკურ საქმიანობაში.

4. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს:

ა) მისთვის საქონლის/მომსახურების მიწოდების (მათ შორის, უსასყიდლოდ) შედეგად წარმოშობილი სარგებელი, ამ კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, იმ საანგარიშო წელს, როდესაც ეს საქონელი/მომსახურება გამოყენებული იქნება ეკონომიკურ საქმიანობაში;

ბ) რეკლამის მიზნით, უსასყიდლოდ გავრცელებულ, დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლების მქონე საქონელზე დარიცხული დღგ-ის თანხა, თუ ამ ოპერაციაზე არ არის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

გ) წილობრივი ფასიანი ქაღალდების ან/და საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების საფონდო ბირჟაზე (მათ შორის, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო

ბირჟაზე) განთავსებასთან და გამოშვებასთან, აგრეთვე ლისტინგის კატეგორიის/რეჟიმის ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

დ) ამ კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ შემოსავალთან (მოგებასთან) დაკავშირებული ხარჯი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, განსაზღვროს:

ა) ცალკეული შემთხვევები, როდესაც ხარჯის დოკუმენტურად დადასტურება სავალდებულო არ არის;

ბ) დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ამ კოდექსის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად ჩაითვლება ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებად.

6. ვირტუალური ზონის პირი მის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებულ შემოსავლებზე ხარჯებს გამოქვითავს ერთობლივ შემოსავალში საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდებით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილის პროპორციულად.

7. ამ კოდექსის 292-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეთანხმების არასრულ საგადასახადო პერიოდზე გაფორმების შემთხვევაში პირი დარჩენილი არასრული კალენდარული წლის (საგადასახადო პერიოდის) კუთვნილი გადასახადის გამოანგარიშებისას ხარჯებს, რომლებიც იანგარიშება მხოლოდ კალენდარული წლის მიხედვით, გამოქვითავს ამ არასრული კალენდარული წლის პროპორციულად.

8. ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება გამოიქვითება ტურისტული საწარმოს ერთობლივი შემოსავლიდან. [საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 105]<sup>4</sup>

ხარჯების ცნება მოიცავს ზარალს და ასევე ხარჯებს, რომლებიც წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

---

<sup>4</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 105

საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ხარჯებია, მაგალითად, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, ხელფასი, ცვეთა და ამორტიზაცია.

მესაკუთრის ინტერესებშია, ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას როგორც რესურსების შეძენის, ასევე მათი გამოყენების შესახებ, რათა დაადგინოს, რესურსები რამდენად ეფექტიანად გამოიყენება. ამიტომ, საწარმოს ხალმმდღვანელობამ პირველ რიგში უნდა იცოდეს რა მიზნით გაიწევა ხარჯები.

დანახარჯების მიზანი (ანუ ობიექტი) არის ნებისმიერი საქმიანობა, რომლის მიხედვითაც დანახარჯები განცალკავებულად გამოიანგარიშება. მაგალითად, პროდუქცია, კონკრეტული საქმიანობა ან განყოფილება.

მენეჯმენტს აინტერესებს იცოდეს დანახარჯების მოცულობა ამა თუ საქმიანობაზე, პროდუქციაზე მთლიანად და ერთეულ პროდუქტზე. დანახარჯების დეტალური ანალიზისა და შესაბამისად, მაღალი ხარისხის კონტროლის საშუალებას იძლევა დანახარჯთა ერთეულები.

დანახარჯთა ერთეული არის პროდუქციის და მომსახურეობის ისეთი უმცირესი რაოდენობრივი ერთეული, რომლის მიხედვით დანახარჯების აღრიცხვა და დადგენა შესაძლებელია და მიზანშეწონილი.

დანახარჯთა ერთეულის ცოდნა არსებითია ფასდადგენისა და პროდუქციის ასორტიმენტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მარაგის შეფასების და ბიუჯეტირების (დაგეგმვის) მიზნით.

დანახარჯების ეფექტური და ორგანიზებული კონტროლი მოითხოვს დანახარჯების დადგენას როგორც საქმიანობის შედეგის (პროდუქტების), ისე საქმიანობის ადგილის (ანუ დანახარჯთა ცენტრების) მიხედვით.

დანახარჯთა ცენტრი არის საწარმოს განყოფილება, ფუნქცია ან მოწყობილობა, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მხოლოდ ხარჯების გაწევასთან და მისი მენეჯერის მუშაობა ფასდება დანახარჯების ბიუჯეტის დაცვით.

დანახარჯთა ცენტრი შეიძლება იყოს საწარმოო საამქროები, შემრევი საამქრო, საწყობი, ადმინისტრაცია და ა.შ.

დანახარჯთა ყოველი ცენტრისათვის დანახარჯების დადგენა აუცილებელია, რათა განისაზღვროს დანახარჯების ცენტრის დამოკიდებულება დანახარჯთა ერთეულთან მიმართებაში, დანახარჯთა დაგეგმვისა და კონტროლისათვის.

მომგებიანი ბიზნესი არის მისი მფლობელების, მასში დასაქმებული პერსონალის, მომხმარებლების და თვით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური ძლიერების წყარო. ამასთან, რესურსები ბუნებაში ამოწურვადია და მათი რაციონალური და უდანაკარგო გამოყენება მთელი საზოგადოების იმტერესებშიც შედის.

დანახარჯების აღრიცხვის მოწესრიგებისა და შესაბამისად, დაგეგმვისა და მართვისათვის, ხდება დანახარჯების კლასიფიკაცია. დანახარჯების კლასიფიკაცია ნიშნავს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ერთგვაროვანი ხარჯების ლოგიკურ დაჯგუფებას.

ხარჯვის მიმართულების მიხედვით, საწარმოს გააჩნია შემავალი და გამავალი ხარჯები.

შემავალი ხარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც რესურსების მომარაგება-შესყიდვაზე იქნა გაწეული.

გამავალი ხარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც პროდუქციის დამზადებაზე დაიხარჯა, მზა პროდუქციაში “განივთდა” და მეორედ წარმოებაში ვეღარ შევა. ამიტომ მათ ამოწურულ ხარჯებსაც უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ფულად შემოსავლებში, გამოყენებული რესურსების ღირებულების წილიც არის და მეწარმეს უკან კვლავ ფულის სახით უბრუნდება.

დანახარჯების კლასიფიკაცია საქმიანობის სფეროების მიხედვით, გულისხმობს მათ დაჯგუფებას საქმიანობის სექტორების მიხედვით ანუ გაითვალისწინება, ხარჯები მოცემულ საწარმოში ძირითად ანუ მაპროფილებელ საქმიანობაზე გაიწევა თუ დამხმარე ან არაორდინარულ ღონისძიებებზე.

საქმიანობის სფეროს მიხედვით საწარმოში დანახარჯები შეიძლება იყოს საოპერაციო, არასაოპერაციო და განსაკუთრებული სახის დანახარჯი.

საოპერაციო დანახარჯები ისეთი ხარჯებია, რომელიც საწარმოს ძირითად ანუ მაპროფილებელი საქმიანობის განხორციელებაზე იხარჯება.

საოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება პროდუქციის დამზადებაზე ან მომსახურების გაწევაზე გაწეული მატერიალური და შრომითი დანახარჯები, კომერციული (მარკეტინგის) ხარჯები და საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.

არასაოპერაციო ხარჯები ისეთი დანახარჯებია, რომლებიც მოცემული საწარმოსთვის დამხმარე ხასიათის საქმიანობაზე გაიწევა.

ხარჯების ასეთი დაჯგუფების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ბიზნესის სფეროს თავისებურებები. მაგალითად, ბანკში აღებული სესხების საპროცენტო ხარჯები საოპერაციო ხარჯებია, რადგან მათი ძირითადი საქმიანობა სესხები აღებ-მიცემობაა.

განსაკუთრებული ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც გამოწვეული იყო ჩვეულებრივი საქმიანობისგან განსხვავებული სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციებისგან, რომლებიც რეგულარულად არ ხდებიან და შემთხვევითი ხასიათისაა. ასეთია, აქტივის ექსპროპრიაცია, ზარალი სტიქიური უბედურებებისგან გადახდილი ჯარიმები და ა.შ.

საოპერაციო ხარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით იყოფა ძირითად და ზედნადებ ხარჯებად.

ძირითადია ისეთი ხარჯები, რომლებიც პროდუქციის დამზადების ან მომსახურების გაწევის პროცესში უშუალოდ მონაწილეობენ. ძირითადი ხარჯები ყოველთვის რომელიმე ერთი კონკრეტული სახის პროდუქციასთანაა დაკავშირებული. ძირითად ხარჯებს მიეკუთვნება იმ ნედლეულისა და მასალის ხარჯი, რომელიც უშუალოდ პროდუქციის დამზადებაზე იხარჯება. აგრეთვე იმ მუშების ხელფასის ხარჯი, რომლებიც პროდუქციის დამზადებაზე მუშაობენ.

ზედნადები ხარჯები წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯებია. ისინი თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა:

- საწარმოო ზედნადები ხარჯები
- არასაწარმოო ზედნადები ხარჯები.

საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც უშუალოდ პროდუქციის დამზადების პროცესის მომსახურებასა და მართვაზე იხარჯება. ასეთია: ძირითადი მანქანა-დანადგარების ცვეთისა და მოვლის ხარჯები, ძირითადი

განყოფილებების მმართველი პერსონალის ხელფასი, საწარმოო დანიშნულების შენობის ცვეთისა და ექსპლოატაციის ხარჯები.

არასაწარმოო ზედნადები ხარჯები საწარმოს საერთო მმართველობითი ხარჯებია, როგორცაა მარკეტინგის და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები.

წარმოების დანახარჯები მრავალი სახისა და დანიშნულების ხარჯებისაგან შედგება. ეკონომიკური ელემენტების მიხედვით გამოიყოფა ერთგვაროვანი სახის ხარჯები: მასალის ხარჯი, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი ნაწარმის ხარჯი, შრომითი ხარჯები, ცვეთის ხარჯი და დანარჩენი ფულადი ხარჯები. დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტი პასუხობს კითხვაზე, თუ საწარმოში მოცემული სახის ხარჯი სულ რა რაოდენობითაა დახარჯეული.

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით დანახარჯების კლასიფიცირება პასუხობს კითხვაზე: რა მიზნითაა გაწეული ხარჯი. ამ ნიშნით, გამოიყოფა შემდეგი ფუნქციური მუხლები: საწარმოო, მარკეტინგის, ადმინისტრაციული ხარჯები.

პროდუქციის თვითღირებულებისადმი დამოკიდებულების მიხედვით ხარჯები ორ ჯგუფად იჯოფა:

- თვითღირებულებაში შემავალი ანუ პროდუქტის ხარჯი;
- თვითღირებულებაში არშემავალი ანუ პერიოდის ხარჯი.

დამზადებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურეობის თვითღირებულებაში შემავალი ხარჯებია:

- ძირითადი მასალის ხარჯი<sup>5</sup>;
- ძირითადი შრომითი ხარჯი;
- საწარმოო ზედნადები ხარჯები;

მოგება/ზარალის ანგარიშგების შედგენის დროს, პროდუქციის ან გაწეული მომსახურეობის თვითღირებულებაში სხვა სახის ხარჯი არ შეიტანება.

პერიოდის ხარჯები იმ ხარჯებს ეწოდება, რომლებიც პროდუქციის თვითღირებულებაში არ შედის. ესენია:

- მარკეტინგის ხარჯები;
- საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები;

---

<sup>5</sup> <https://accountingexplained.com/managerial/costs>



- საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები;
- განსაკუთრებული ხარჯები.

მხოლოდ, პროდუქციის თვითღირებულების შიდა ანგარიშგების შედგენის დროს, როცა ხელმძღვანელობა გეგმავს ცალკეული სახის პროდუქციის გასაყიდ-საორიენტაციო გეგმურ ფასებს ან ატარებს ყოველი სახის პროდუქციის მომგებიანობის ანალიზს, მაშინ პროდუქციის (ან მომსახურების) თვითღირებულებაში შეიტანება მარკეტინგის და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯებიც.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის პერიოდის ხარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში არ შეიტანება და მოგება/ზარალის ანგარიშიდან ჩამოიწერება.

განსხვავება პროდუქტისა და პერიოდის ხარჯებს შორის აუცილებელია მარაგის ღირებულებისა და მოგების მაჩვენებლის გამოსათვლელად.

საწარმოში, როდესაც რამდენიმე სახის პროდუქცია მზადდება, არსებობს ხარჯები, რომლებიც კონკრეტულად რომელიმე სახის პროდუქტზე იხარჯება და ხარჯები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე სახის პროდუქტის დამზადებაზე იხარჯება. ამიტომ განსხვავდება, ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულებაზე, მათი მიკუთვნების წესი.

პროდუქციის (ან მომსახურების) თვითღირებულებაზე მიკუთვნების წესის მიხედვით გამოიყოფა პირდაპირი და არაპირდაპირი (ანუ ირიბი) ხარჯები.

პირდაპირია ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწევის მომენტიდანვე ცნობილია რომელი სახის პროდუქციის ( ან მომსახურების) თვითღირებულებას მიეკუთვნოს. ამდენად, პირდაპირი დანახარჯები უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტულ დანახარჯთა ერთეულთან ან დანახარჯთა ცენტრთან.

პირდაპირი დანახარჯებია:

- ძირითადი მასალის ხარჯი;
- ძირითადი შრომითი ხარჯი.

არაპირდაპირია (ანუ ირიბია) ისეთი დანახარჯები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე სახის პროდუქციაზე იხარჯება, ამიტომ გაწევის მომენტში ცნობილი არაა რომელი სახის პროდუქციის თვითღირებულებას მიეკუთვნოს და მხოლოდ

განაწილების გზით (ანუ არაპირდაპირი გზით) შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში.

ამრიგად, არაპირდაპირი ხარჯების მიზმა უშუალოდ დანახარჯების ერთეულთან ან დანახარჯთა ცენტრთან, შეუძლებელია. მათ მიეკუთვნება საწარმოო და არასაწარმოო ზედნადები ხარჯები.

საწარმოო ზედნადებ ხარჯებში შედის:

- არაპირდაპირი მასალის ხარჯი;
- არაპირდაპირი შრომითი ხარჯი;
- დანარჩენი არაპირდაპირი ხარჯები.

დანახარჯების დაყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებად აუცილებელია ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციისათვის. მაშასადამე, დანახარჯთა ერთეულის თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს და საწარმოო ზედნადები ხარჯების წილს, რომელიც სათანადო მეთოდებით გამოითვლება.

წარმოების დანახარჯები სხვადასხვა სახის ხარჯებისაგან შედგება, რომლებიც პროდუქციის გამოშვების ან წარმოების მოცულობის ცვლილებაზე სხვადასხვგვარად რეაგირებენ.

დანახარჯების ქცევა არის ის, თუ როგორ რეაგირებენ დანახარჯები წარმოების მოცულობის ცვლილებაზე.

წარმოების მოცულობის ცვლილებაზე დამოკიდებულების მიხედვით არსებობს შემდეგი სახის ხარჯები:

- ცვლადი ხარჯები;
- მუდმივი ხარჯები;
- ნახევრადცვლადი ხარჯები;
- საფეხურებრივად ცვლადი დანახარჯები.

ცვლადია დანახარჯები, რომელთა საერთო სიდიდე, წარმოების ცვლილების პირდაპირ პროპორციულად იცვლება. ესენია:

- პირდაპირი (ძირითადი) მასალის ხარჯი;
- პირდაპირი (ძირითადი) შრომითი ხარჯი.

მუდმივია ისეთი დანახარჯები, რომელთა საერთო სიდიდე არ იცვლება პროდუქციის წარმოების ზრდის პროპორციულად.

ნახევრადცვლად დანახარჯებს ისეთ ხარჯებს ეწოდება, რომელიც მუდმივ და ცვლად ხარჯებს შეიცავენ. ასეთია სატელეფონო დანახარჯი, რომელიც შეიცავს მუდმივ სააბონენტო გადასახადის ხარჯს და წუთობრივი გადასახადის ხარჯს. აგრეთვე, საწარმოო ზედნადები ხარჯები, რომლის შემადგენლობაში ცვეთის ხარჯი და დაზღვევის ხარჯი მუდმივია, შეკეთების ხარჯები კი ცვლადია.

საფეხურებრივად ცვლადი დანახარჯები ეწოდება ისეთ ხარჯებს, რომლებიც მუდმივი რჩებიან წარმოების ერთ დიაპაზონში, შემდეგ ნახტომისებურად იცვლება და მუდმივია წარმოების ახალ დიაპაზონში.

გადაწყვეტილებების მიღებისას, მენეჯერები დინტერესებული არიან იმ ფაქტორებით, რომლებიც არჩევანის გაკეთებაზე გავლენას ახდენენ. რამდენიმე ალტერნატივიდან ერთ-ერთი ვარიანტის არჩევა ცვლის ხარჯებსა და შემოსავლებს. ამიტომ, გადაწყვეტილებების მიღებაზე დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ რელევანტურ და ირელევანტურ ხარჯებს.

რელევანტურია დანახარჯი, რომელიც იცვლება გადაწყვეტილების მიღების შედეგად. არარელევანტურია ხარჯი, რომელიც არ იცვლება გადაწყვეტილების მიღების შედეგად.

რადგან წარსულის შეცვლა შეუძლებელია, ამიტომ რელევანტური ხარჯები მომავლის ხარჯებია. წარსულის დანახარჯი შეუქცევად დანახარჯად განიხილება და არასოდეს არ იქნება რელევანტური გადაწყვეტილების მიღებისას. ვინაიდან რელევანტური ხარჯები გადაწყვეტილებების შედეგად იცვლებიან, ამიტომ ეს ხარჯები გასათვალისწინებელი ხარჯებია, ხოლო არარელევანტური ხარჯების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას საჭირო არაა. ამასთანავე, რომ რელევანტური ხარჯი შეიძლება იყოს როგორც მუდმივი, ისე ცვლადი ხარჯი.

საქმიანობის შეცვლაზე დამოკიდებულების მიხედვით ხარჯები აგრეთვე აღმოფხვრად და არააღმოფხვრად ხარჯებად იყოფა.

აღმოფხვრადია ხარჯი რომელიც გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღარ იარსებებს. ამიტომ ეს ხარჯები გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინება.

არააღმოფხვრადია ხარჯი, რომელიც გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად მაინც იარსებებს, ამიტომ გადაწყვეტილების მიღების დროს იგი არაა არსებითია.

ამრიგად, ხარჯი აღმოფხვრადია თუ არააღმოფხვრა დმოკიდებულია გადაწყვეტილების მიღებაზე და დროის პერიოდზე. მაგალითად, თუ ორგანიზაცია განიხილავს წარმოების შეჩერების საკითხს, მაშინ პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები აღარ იარსებებენ. შენობის იჯარა კი ნულოვანი წარმოების დროსაც იარსებებს.

ამდენად, აღმოფხვრადი ხარჯები რელევანტური ხარჯებია. ხოლო, არააღმოფხვრადი დანახარჯები არარელევანტური ხარჯებია. პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯები რეგულირებად და არარეგულირებად დანახარჯებად იყოფა.

რეგულირებადია დანახარჯი, რომელიც კონტროლდება მოცემული განყოფილების მენეჯერის მიერ მოცემულ დროში.

არარეგულირებადია დანახარჯი, რომელიც არ წარმოადგენს მოცემული განყოფილების კონტროლის სფეროს და ამიტომ არ რეგულირდება მის მიერ.

## 1.2. შემოსავლების აღრიცხვის მეთოდოლოგია

საწარმოში შემოსავლის აღრიცხვის ორი მეთოდია ცნობილი, ესენია საკასო და დარიცხვის მეთოდი. საერთაშორისო სტანდარტებით დარიცხვის პრინციპია მიღებული. კომპანიები ირჩევენ ანგარიშსწორების რომელი ფორმა გამოიყენონ.<sup>6</sup>

აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტიდან, ხოლო ხარჯები უნდა გამოქვითოს განაღდების შემდეგ.

აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება:

ა) ნაღდი ფულის ანგარიშსწორებისას - ნაღდი ფულის მიღების მომენტი;

ბ) უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - ფულადი სახსრების ჩარიცხვა ბანკში გადასახადის გადამხდელის მიმდინარე ანგარიშზე ან სხვა ანგარიშზე, რომლის განკარგვის ან რომლიდანაც ამ სახსრების მიღების უფლება აქვს.

2. გადასახადის გადამხდელის ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტის მიუხედავად.

შემოსავლების აღიარების გავრცელებული შემთხვევებია:

- შემოსავლების აღიარება საქონლის მიწოდებისას (ან მომსახურების გაწევსთანავე) ანუ შემოსავლების აღიარება მიწოდების თარიღით-გაყიდვის მომენტის მეთოდით და არასარეალიზაციო ანუ გამომუშავებული (გადავადებული) შემოსავალი;

- შემოსავლის აღიარება საქონლის მიწოდების შემდეგ პროდუქციის უკან დაბრუნების უფლებით ანუ რეალიზაცია, როდესაც საქონელი ექვემდებარება გარკვეულ პირობებს (განვადებით გაყიდვა და კონსიგნაციით ანუ შუამავლების მეშვეობით გაყიდვა);

---

<sup>6</sup> <http://www.rs.ge/5583>

- შემოსავლების აღიარება საქონლის მიწოდებამდე ანუ გაყიდვები განვადებით მიწოდებით (დასრულებული კონტრაქტით), რომელიც წარმოიქმნება დიდი ფიზიკური მოცულობის, რთული ტექნიკის, სპეცსაქონლის (ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ქიმიური ნივთიერებები, ხორცი და ხორცპროდუქტები და ა.შ) მიწოდების დროს, როცა მათი შენახვა სპეციალურ და განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს, გამწვანებულია ტრანსპორტირება და ა.შ.

დარიცხვის მეთოდით შემოსავლების მიღების მომენტი არის:

გადასახადის გადამხდელის შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ:

ა) შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას;

ბ) გადასახადის გადამხდელმა შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

2. თუ გადასახადის გადამხდელი სწევს მომსახურებას, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული უფლება მის მიერ გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დამთავრების მომენტში მოპოვებულად ითვლება.

3. თუ გადასახადის გადამხდელი იღებს ან მას უფლება აქვს, მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით ან ქონების იჯარით გადაცემით, შემოსავალი სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტში მიღებულად ითვლება. ამასთანავე, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, შემოსავალი საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით.

4. ბანკები სესხებზე დარიცხულ პროცენტებსა და ჯარიმებს შემოსავლად აღიარებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით

პირს, რომელიც მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მიზნებიდან გამომდინარე, ვალდებულია განახორციელოს ან ნებაყოფლობით ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით, უფლება არ აქვს გადასახადის გადახდასას გამოიყენოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებული წესი.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და სხვა ჯარიმები აღრიცხება საკასო მეთოდით.

ფიზიკურ პირს უფლება აქვს, შემოსავლები და ხარჯები საკასო მეთოდით აღრიცხოს, მათ შორის მიკრო, მცირე, ფიქსირებული სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელმა.

მცირე ბიზნესმა ხარჯები უნდა აღრიცხოს ხარჯების აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის ფორმისა და წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

მცირე ბიზნესი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შემოსავლები აღრიცხოს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებით.

საწარმოს მიერ გაყიდული საქონლის აღრიცხვა ბუღალტრულად იქნება ფულადი ანგარიშების დებეტსა და შემოსავალი რეალიზაციიდან კრედიტის ანგარიშზე და თუ საქონელი გაიყიდა შემდგომი გადახდის პირობით მაშინ დებეტში იქნება მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან და კრედიტში შემოსავალი რეალიზაციიდან.

საწარმომ ასევე შეიძლება მისი ფუნქციონირების პერიოდში მიიღოს ავანსები. საწარმოს მიერ მიღებული ავანსები აისახება ფულადი საშუალებების დებეტსა და მიღებული ავანსების კრედიტის ანგარიშზე.

საწარმომ თავისი ფუნქციონირების პერიოდში საქონელი შეიძლება გაყიდოს ასევე ფასდათმობით და უკან დაბრუნების პირობით, რომლის დაბეგვრა ხდება ისე, როგორც ჩვეულებრივი საქონლის რეალიზაციის დროს.

ასევე შესაძლებელია საქონელი გაყიდოს კონსიგნაციის პირობით. კონსიგნაცია ანუ წერილობითი დასტური არის საქონლის გაყიდვის საკომისიო ფორმა, როდესაც შუამავალი (კონსოგნატორი) ყიდის საქონლის მფლობელის (კონსიგნანტი) საქონელს თავისი საწყოებიდან.

საწარმომ სწორად უნდა აღრიცხოს ასევე მომსახურებიდან მიღებული. ამონაგები მომსახურების გაწევიდან უნდა აღიარდეს ხელშეკრულების სტადიის მიხედვით და იმის

გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია თუ არა მომსახურების შედეგების, მომსახურების დანახარჯების საიმედოდ შეფასება, ასევე მოსალოდნელი უნდა იყოს ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, ბალანსის შედგენის თარიღისთვის;
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში. მაგრამ, როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართულია თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

თუ პრაქტიკულად, მომსახურების გაწევა ხდებოდა მრავალჯერადი აქტის შედეგად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა. როცა რომელიმე ერთი აქტი უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი აქტი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვანი აქტის შესრულებამდე.

რაც შეეხება პროცენტის, როიალტებისა და დივიდენდების აღრიცხვას, ისინი ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს, თუ:



- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან მომავალში საწარმოში შემოვა ეკონომიკური სარგებელი;
- შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება.  
ასეთი შემოსავლის აღიარება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:
- პროცენტების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებს ბასს 39-ის მე-9 და მგ5-მგ8 პუნქტები;
- როიალტების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შესაბამისი შეთანხმების შინაარსის მიხედვით;
- დივიდენდის აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა აქციონერის უფლება დივიდენდის მიღების შესახებ [ ბას 18, მუხლი 29-30].

პროცენტის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამისი პერიოდში გადანაწილების მეთოდი.

საწარმოს აქტივების სხვა პირთა მიერ გამოყენებიდან მიღებული პროცენტები ამონაგებად აღიარდება, თუ ეს საქმიანობა საწარმოსთვის ძირითადია, მაგალითად, ბანკებისთვის. სხვა შემთხვევაში, მიღებული ან მისაღები პროცენტები შემოსულობებს წარმოადგენს და საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში არასაოპერაციო შემოსავლების სახით აღირიცხება ფულადი საშუალებების დებეტში ამსახველი ანგარიშები ან მისაღები პროცენტების და საპროცენტო შემოსავლების ამსახველი ანგარიშების კრედიტში.

ბასს 18-ის მიხედვით, თუ გადასახდელი პროცენტის დარიცხვა პროცენტიანი ინვესტიციების (ფასიანი ქაღალდების) შემენამდე მოხდა, მომავალ პერიოდში მისაღები საპროცენტო შემოსავალი გადანაწილდება ფასიანი ქაღალდების შემენის წინა და მომდევნო პერიოდებზე; ამ შემთხვევაში, ამონაგების სახით აღიარებული იქნება მხოლოდ მომდევნო პერიოდის საპროცენტო შემოსავალი. როგორც კი კუთვნილ ფასიან ქაღალდებზე გამოცხადდება დივიდენდების გაცემა მათ შემენამდე მიღებული წმინდა

შემოსავლიდან, ეს დივიდენდები გამოიქვითება ფასიანი ქაღალდების ღირებულებიდან. დივიდენდების ამგვარი დაყოფით აღრიცხვა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და ამ პროცესების რეგულირება, ძირითადად, ხორციელდება სუბიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით. ამის გამო, ხშირად დივიდენდები აისახება ამონაგების სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარკვეულია კუთვნილი ფასიანი ქაღალდების ღირებულების დაფარული ნაწილი<sup>7</sup>.

საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება ინვესტიციების (ფასიანი ქაღალდების) შეძენა დებეტი ინვესტიციები საწარმოს ფასიან ქაღალდებში; დებეტი მისაღები დივიდენდები (შეძენამდე გამოცხადებული დივიდენდის ნაწილით) და კრედიტი ფულადი საშუალებების ანგარიშები (შეძენის თანხით).

როიალტების დარიცხვა და ამონაგების სახით მათი აღიარება ხდება შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, თუ ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით მართებული არ არის, რომ ამონაგები აღიარდეს უფრო მისაღებ სისტემურ და რაციონალურ საფუძველზე<sup>8</sup>.

როიალტი, ანუ სალიცენზიო მოსაკრებელი მიიღება ფირმის კუთვნილი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების უფლების გადაცემისათვის. როიალტი აღიარდება დარიცხვის მეთოდის არსის შესაბამისად, შეთანხმების შინაარსის მიხედვით. როიალტის აღიარება ამონაგების სახით ხდება თანაბარზომიერად სალიცენზიო უფლებით სარგებლობის მთელ პერიოდში. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია უფლების გაყიდვა, მაშინ ამონაგები აღიარებული უნდა იქნეს გაყიდვის მომენტში.

დივიდენდის აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა აუქციონერის უფლება დივიდენდის მიღების შესახებ. დივიდენდის დარიცხვა ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება მისაღები დივიდენდების დებეტში და დივიდენდებიდან მიღებული შემოსავლების კრედიტში.[ ბასს 18. მუხლი 29-30].

დივიდენდების მიღება ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გატარებით ფულადი საშუალების ანგარიშების დებეტში და მისაღები დივიდენდების ანგარიშის კრედიტში.

---

<sup>7</sup> ბასს 18 მუხლი 32.

<sup>8</sup> ბასს 18. მუხლი 33.

ბასს-ის მიხედვით, ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება საწარმოში. მაგრამ თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის შესწორება<sup>9</sup> საექვო და უიმედო ვალების ხარჯის ანგარიშის დებეტში და მისაღები დივიდენდების ანგარიშის კრედიტში.

არაპირითადი ანუ არასაოპერაციო შემოსავლებში აღირიცხება საწარმოს არასაოპერაციო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომელშიც შედის:

- საპროცენტო შემოსავლები;
- დივიდენდები;
- არასაოპერაციო მოგება;
- მოგება საკურსო სხვაობიდან;
- შემოსავალი იჯარიდან და სხვა.

დარიცხვის მეთოდით პროცენტისა და დივიდენდის აღიარება ხდება მათზე სამართლებრივი უფლების წარმოშობიდან, ანუ მათ ფაქტიურ მიღებამდე.

განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები გამოიყენება იმ სამეურნეო მოვლენების ფინანსური შედეგების აღსარიცხავად, რომელიც უჩვეულოა თავისი ბუნებით და იშვიათად შეიძლება მოხდეს.

საწარმოს შემოსავლების დაყოფა როგორც საოპერაციო და არასაოპერაციო ნიშნის მიხედვით საჭიროა რადგან, მენეჯერები იღებენ გადაწყვეტილებებს საოპერაციო შემოსავლებზე დაყრდნობით და არა არასაოპერაციო შემოსავლების მიხედვით. საოპერაციო შემოსავლები არის უფრო დინამიკური და მყარი გადაწყვეტილების მიღებისთვის, ამიტომ ერთობლივი შემოსავლიდან საწარმოს მენეჯერებს სჭირდებათ ერთმანეთისგან გამიჯნული შემოსავლები და მათი წარმოშობის წყაროები.

საწარმოს მიღებული შემოსავლების კლასიფიკაცია ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური მენეჯერებისთვის, რადგან შეაფასონ საწარმოს ფუნქციონირება და მათ მიერ დახარჯული რესურსების მომგებიანობა.

---

<sup>9</sup> ბასს 18. მუხლი 34.

მენეჯერებს ასევე იმიტომ სჭირდებათ ერთმანეთისგან გამიჯნული შემოსავლები, რომ გააკეთონ ანალიზი მათ მიერ მიღებული შემოსავლების რომელი წყარო არის უფრო სანდო, პერსპექტიული, რომელშია საჭირო რესურსების დამატება, რომელ სექტორს ემუქრება საფრთხე ან რომელშია უფრო მეტი განვითარება მიმდინარე პერიოდში და ა.შ.

საწარმოს შემოსავლების უდიდესი ნაწილი უმჯობესია ეჭიროს საოპერაციო შემოსავლებს, რადგან კომპანიების დაგეგმვის ეტაპზე იგეგმება სწორედ აღნიშნული შემოსავლები და შესაბამისად მასში ხდება საწარმოს ყველა რესურსის ჩართვა, ამიტომ მისგან მიღებული შემოსავლები არის საწარმოს საქმიანობის ფინანსური ანალიზის საგანი.

### **1.3. ხარჯების აღრიცხვის მეთოდოლოგია**

შესაბამისობის პრინციპის თანახმად, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯებს აღიარებენ იმ შემთხვევაში თუ :

- საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა იწვევს აქტივების შემცირებას ან ვალდებულებების ზრდას;

- შესაძლებელი ამისი საიმედო შეფასება.

სტანდარტის თანახმად, ხარჯები არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების შემცირების ან ვალდებულებების ზრდის გზით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას, მაგრამ არ მოითხოვს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებს.

1. აღივსის საკასო მეთოდის გამოყენებისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტი, რამდენიმე განსაკუთრებული შემთხვევისა.

2. აღივსის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება:

ა) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას - ნაღდი ფულის გადახდის მომენტი;

ბ) უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - ბანკის მიერ გადამხდელის საბანკო ან სხვა ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის მომენტი.

3. გადასახადის გადამხდელის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, ხარჯების გაწევის მომენტიდან ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

4. სავალო ვალდებულების ან ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული გადასახდელის მიმართ, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, ფაქტობრივად გადახდილი პროცენტის (იჯარის) თანხა, რომელიც გამოიქვითება საგადასახადო წლის განმავლობაში, არის პროცენტის (იჯარის) ის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით.

ხარჯების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტის მიუხედავად, გარდა ამ კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საგადასახადო კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილი გულისხმობს:

თუ პირი, გარდა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისა, იყენებს დარიცხვის მეთოდს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება თანხის გადახდის მომენტი, როდესაც:

ა) გადახდა უკავშირდება ფიზიკურ პირს, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა;

ბ) მიღებული მომსახურებისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდა უკავშირდება არარეზიდენტ საწარმოს, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში.

საწარმო შეიძენს და ყიდის საქონელს. საწარმოს მიერ შეძენილი საქონელი აღირიცხება საქონლის ანგარიშის დებეტში და ფულადი ანგარიშის კრედიტში. ხოლო თუ, საქონელი შეძენილია შემდგომი გადახდის პირობით მაშინ შეძენილი ნედლეული და მასალა აღირიცხება ნედლეულის და მასალის ანგარიშის დებეტში და ვალდებულება მოწოდებით და მომსახურების ანგარიშის კრედიტში.

საწარმოს ხარჯებში ასევე უნდა აღირიცხოს საწარმოს მიერ ძირითად და დამხმარე მუშებზე გაცემული ხელფასი. ძირითადი და დამხმარე ხელფასის დარიცხვა ხდება დაუმთავრებელი წარმოების ან სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯების ანგარიშის დებეტში და გადასახდელი ხელფასის ანგარიშის კრედიტში.

საწარმო ფუნქციონირებისას იყენებს ასევე ძირითად საშუალებებს, რომლებიც რამდენიმე წელი გამოიყენება საწარმოში. ძირითადი საშუალებები როგორც ვიცით პერიოდულად გადაიტანება ხარჯებში, და ექსპლუატაციის ვადის ამოწურვის შემდეგ ხდება მისი გასვლა საწარმოდან. საწარმოს ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება ცვეთისა და ამორტიზაციის დებეტის ანგარიშზე და ძირითადი საშუალების კრედიტის ანგარიშზე.

საწარმოს ასევე აქვს სხვადასხვა ხარჯები საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში, რომლის აღრიცხვა აუცილებელია რადგან მივიღოთ საწარმოს ზუსტი ფინანსური შედეგი. მაგალითად: ისეთი ხარჯები როგორცაა დაზღვევის, დაცვის და ა.შ ხარჯები.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ერთეული პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების გაანგარიშგების შემდეგ, განისაზღვრება სხვაობა ფაქტობრივ და ნორმატიულ თვითღირებულებას შორის, რომლის გამრავლებით პერიოდის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე მიიღება კორექტირებადი

თანხა. შესაბამისად, კუთვნილი კორექტირებადი თანხით მოხდება „მზა პროდუქციის“, „დაუმთავრებელი წარმოების“ და „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ანგარიშების კორექტირება.

პირდაპირი (ძირითადი) დანახარჯები პირდაპირ ჩაირთვება მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებაში, ხოლო საწარმოო ზედნადები დანახარჯები თვითღირებულებაში შეიტანება განაწილების გზით განაწილების ბაზის პროპორციულად.

მაგალითად, თუ მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები თვითღირებულებაში უნდა შევიდეს გამოშვებული პროდუქციის ყოველ ერთეულზე 0,16 ლარის ოდენობით, ცვლადი კი-ერთეულზე 0,19 ლარის ოდენობით. მიმდინარე თვეში გამოშვებულია პროდუქციის 20000 ერთეული. შესაბამისად:

თვითღირებულებაზე მიკუთვნებული ცვლადი საწარმოო ზედნადები დანახარჯები 3800 ლარია ( $20000 \times 0,19$ );

თვითღირებულებაზე მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები 3200 ლარია ( $20000 \times 0,16$ ), ჯამში 7000 ლარი

საწარმოო ზედნადები დანახარჯების მიკუთვნება თვითღირებულებაზე გატარდება:  
დ-ტი 1630 დაუმთავრებელი წარმოება 7000;

კ-ტი 7190 საწარმოო ზედნადები ნახარჯების საკონტროლო ანგარიში 7000.

ვინაიდან, მიკუთვნებული მუდმივი ზედნადები დანახარჯები, 7000 ლარი, ნაკლებია ფაქტიურად გაწეულ მუდმივ საწარმოო ზედნადებ დანახარჯებზე 7600 ლარზე ( $3700+3900$ ) 600 ლარით, ეს თანხა არის ზედნადები ხარჯების მიკუთვნების დანაკლისი, ამიტომ უნდა აღიარდეს ხარჯად და ჩამოიწეროს მოგება-ზარალის ანგარიშზე შემდეგი გატარებით:

დ-ტი 5330 საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი 600;

კ-ტი 7190 სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები 600.

თუ ადგილი ექნება მიკუთვნების მეტობას, მაშინ იქნება შემდეგი გატარება:

დ-ტი 7190 სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები;

კ-ტი 5330 საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი.

პერიოდის საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯების აღრიცხვა. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს 7400 „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“ ჯგუფის ანგარიშზე. „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“ - განკუთვნილია ინ დანახარჯების აღსარიცხავად, რომელიც შესული არ არის მზა პროდუქციისა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში, რაშიც შედის: ადმინისტრაციული ხელფასი დარიცხვებით, საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა და რემონტის ხარჯები, არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია, ტელესაკომუნიკაციო მომსახურების დანახარჯები, იურიდიული, აუდიტორიული, საკონსულტაციო და სხვა მომსახურების ხარჯები, საექვო მოთხოვნების ჩამოწერა და სხვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯი მოიყრის თავს საერთო და ადმინისტრაციული ხარჯის ანგარიშის დებეტის მხარეს და შესაბამისი ანგარიშის კრედიტის მხარეს.

არასაოპერაციო ხარჯები აღრიცხება 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“ ჯგუფის ანგარიშზე. არასაოპერაციო ხარჯები გამოიყენება არასამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების აღსარიცხავად და მას ეხსნება დამატებითი ანგარიშები:

- საპროცენტო ხარჯები;
- არასაოპერაციო ხარჯი;
- ზარალი სავალუტო კურსთა სხვაობიდან;
- ზარჯები (ზარალი) გრანტების დაბრუნებიდან და სხვა.

ხარჯების კასიფიკაცია და მისი სწორედ აღრიცხვა საწარმოში მრავალი ფაქტორის განსაზღვრელია, რადგან საწარმოში ხარჯების სწორად აღრიცხვა ხელს უწყობს ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას მენეჯერებისთვის.

ხარჯების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით და აღრიცხვა ხელს უწყობს საწარმოში სწორი გადაწყვეტილების მიღებას. ხარჯები კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხელს უწყობს ისეთი საკითხების ზუსტად განსაზღვრას, როგორცაა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც შედგება მხოლოდ პირდაპირი შრომის, პირდაპირი ნედლეულის და საწარმოო ზედნადები ხარჯებისგან, ასევე ხარჯების სწორად აღრიცხვა ხელს უწყობს კომერციული და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯების ზუსტი რაოდენობის დადგენას.



ხარჯების კლასიფიკაცია ასევე მნიშვნელოვანია იმისთვის რომ მოხდეს საწარმოს მიერ გაწეული ყველა ხარჯის აღიარება როგორც ხარჯად საგადასახადო კოდექსის მიხედვით ანუ ხარჯების კლასიფიკაცია ხელს უწყობს ხარჯები მოვიყვანოთ კანონთან შესაბამისობაში, რაც აუცილებელია საწარმოსათვის.

როგორც ცნობილია საგადასახადო კოდექსი ყველა ხარჯს არ აღიარებს ხარჯად ამიტომ მნიშვნელოვანია წინასწარ იყოს განსაზღვრული საწარმოს მიერ გაწეული ხარჯები რადგან შემდეგში არ მოხდეს საწარმოს ხარჯების არ აღიარება, რაც გამოიწვევს მესაკუთრის შემოსავლების შემცირებას.

მენეჯერები იღებენ საწარმოსთვის სხვადასხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომლისთვისაც საჭიროა ყველა ხარჯის განცალკევებულად გამოყოფა, რადგან ისინი გათვლებს აკეტებენ ხანგრძლივი პერიოდისთვის და მათთვის მცირე სიდიდის ხარჯიც კი მნიშვნელოვანია. მენეჯერები გადაწყვეტილებას იღებენ საწარმოში არსებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამიტომ საჭიროა მათი სწორი დაჯგუფება და აღრიცხვა.

საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯების კალკულაციის (ABC – Activity Based costing) არსი მდგომარეობს მასში, რომ ამ კონცეფციით, არაპირდაპირ ხარჯებს წარმოშობს არა პროდუქტი, არამედ საქმიანობა. ანუ, პროდუქტი მოიხმარს საქმიანობას და საქმიანობა მოიხმარს ხარჯებს. ეს მეთოდი ეფუძნება ზედნადები ხარჯების მიკუთვნებას იმ საქმიანობის საფუძველზე, რომლებიც „წარმართავენ“ დანახარჯებს. ამდენად, დანახარჯთა მატარებელი არის ფაქტორი, რომელიც წარმოშობს (იწვევს) საქმიანობას და აქედან გამომდინარე განსაზღვრავს დანახარჯებს [რ. კაპლანი].

ABC სისტემის ავტორები თვლიან, რომ წარმოების ევოლუციასთან ერთად, მოხდა უმეტესწილად, ცვლადი ხარჯების ჩანაცვლება მუდმივი ხარჯებით და გაიაზარდა ზედნადები ხარჯების ფუნქცია, რომელიც განპირობებული არაა პროდუქციის წარმოების რაოდენობით. ასეთი ხარჯებია:

- წარმოების გამართვის დანახარჯები – განპირობებულია წარმოების გამართვის რაოდენობით;
- შეკვეთის განთავსების დანახარჯები – დამოკიდებულია შეკვეთების რიცხვზე;
- შესაფუთი დეპარტამენტის დანახარჯები – განპირობებულია შეფუთვაზე შემოსული შეკვეთების რაოდენობით;

- საინჟინრო განყოფილების დანახარჯები – განპირობებულია პროდუქციის წარმოებაზე შემოსული შეკვეთების რაოდენობით.

საქმიანობის სახეებს, რომელსაც პროდუქციის წარმოება მოიხმარს, მიეკუთვნება:

1. მასალის შესყიდვა – დანახარჯთა A მატარებელია შესყიდვების მოთხოვნების რაოდენობა;
2. მასალის დატვირთვა-გადმოტვირთვა – მოძრაობის რაოდენობა;
3. ხარისხის კონტროლი – შემოწმების რაოდენობა;
4. საინჟინრო სამსახური – შეკვეთების რაოდენობა;
5. საწარმოო ხაზის გადაწყობა – გადაწყობების რაოდენობა.

ასე რომ, საწარმოო ზედნადები ხარჯები ჯერ განაწილდება საქმიანობის სახეებს შორის, დანახარჯთა ჩამოთლილი მატარებლების საფუძველზე. ამის შემდეგ კი ცალკეული სახის პროდუქტებზე განაწილდება. ამ საკითხებს აქ მეტად აღარ შევხებით. სიღრმისეულად იგი მმართველობითი აღრიცხვის მეორე დონეზე შეისწავლება<sup>10</sup>.

#### 1.4. შემოსავლები, ხარჯები და საწარმოს ფინანსური შედეგები

საწარმოს ფინანსური შედეგები დამოკიდებულია მის მიერ მიღებულ შემოსავლებზე და გაწეულ დანახარჯებზე. მეწარმეები ცდილობენ საწარმოს ხელთ არსებული მატერიალური და შრომითი რესურსები გამოიყენონ რაციონალურად და რაც შეიძლება მაღალი შედეგიანობით, რომ, შესაბამისად შესაძლებელი გახდეს კარგი ეკონომიკური სარგებლის (შემოსავლის) მიღება.

---

<sup>10</sup><https://buhconsul.ru/ka/costs-as-the-main-object-of-management-accounting-new-law-on-accounting-accounting-objects/>

საწარმოს მთავარი ფინანსური შედეგი არის მოგება, რომელიც განისაზღვრება საწარმოს შემოსავლების და ხარჯების სხვაობით. პერიოდის ბოლოს ხდება საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლების და გაწეული დანახარჯების შეპირისპირება, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება საწარმოს ფინანსურ შედეგის - მოგებაის (ან ზარალის) დადგენა.

მეწარმეები მოგებას იყენებენ კაპიტალის გასადიდებლად, პირადი სიმდიდრის გასაზრდელად, წარმოების გაფართოებისთვის, საგადასახადო ვალდებულების შესასრულებლად, დასაქმებული პერსონალის წახალისებისა და დაჯილდოებისთვის, სხვადასხვა სოციალური პროგრამების დაფინანსებისა და ქველმოქმედებისთვის.

ამდენად, ესა თუ ის საწარმო იღებდეს მოგებას და იყოს მომგებიანი, ეს არა მხოლოდ საწარმოს მესაკუთრეთა, არამედ, დასაქმებულ პერსონალის, სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ინტერესშიც შედის.

საწარმოს ხელმძღვანელები პასუხისმგებლები არიან მათზე მინდობილი რესურსების ეფექტიან მართვაზე. წარმოება უნდა ფარავდეს ხარჯებს და დამატებით იღებდეს მოგებას. წარმოების ეფექტიანობა არ უარყოფს ხარჯების გაწევას, პირიქით, ხარჯის გაწევა აუცილებელია იმისთვის რომ მომავალში მიღებულ იქნეს ეკონომიკური წარმატებები. ამდენად, წარმოების ეფექტიანობის მიღწევა გულისხმობს არა იმას, რომ ადგილი არ ჰქონდეს დანახარჯებს, არამედ იმას, რომ შემოსავლები აღემატებოდეს ხარჯებს.

მოგება წარმოადგენს საწარმოს მუშაობის ეკონომიკურ ეფექტს. იგი არის საწარმოს საბოლოო დადებითი ფინანსური შედეგი. მასში ასახულია საწარმოს საქმიანობის ყველა მხარის ფუნქციონირების ხარისხი. ამიტომ, მოგება საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური, ნაერთი, ზოგად მაჩვენებელია, რომელზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაში თუ მორალურ ქცევებში მომხდარი ყველა ქმედება.

საწარმოს ფინანსური შედეგების მაჩვენებელი ორ ჯგუფად: აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებად იყოფა.

აბსოლუტური მაჩვენებლები საწარმოს საბოლოო ფინანსური შედეგის საერთო მოცულობას გამოხატავენ, როგორცაა: მოგება ან ზარალი. მოგება არის სხვაობა

შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. მოგება არის ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი. მოგების მიღება ნიშნავს, რომ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებულია დამატებითი შემოსავალი.

საწარმოში მოგების მაჩვენებელი სხვადასხვა დონეზე განისაზღვრება. შესაბამისად გამოიყოფა მოგების შემდეგი მაჩვენებლები:

- მოგება რეალიზაციიდან;
- საოპერაციო მოგება;
- მოგება დაბეგვრამდე (წლიური მოგება);
- წმინდა მოგება;
- გაუნაწილებელი და რეინვესტირებული მოგება.

მოგება რეალიზაციიდან არის სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის.

აგრეთვე, ცნობილია ზღვრული მოგების მაჩვენებელი, რომელიც არის სხვაობა შემოსავლებსა და ცვლად ხარჯებს შორის. მაგრამ, ეს მაჩვენებელი გამოიყენება საწარმოს შიგნით, მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად დაგეგმვის დროს.

რეალიზაციიდან მიღებულ მოგების მაჩვენებელზე გავლენას ახდენს შემოსავლისა და თვითღირებულების ცვლილება. შემდეგ კი თვით შემოსავლებსა და თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები. როგორცაა: რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა, ფასი, დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე და ცალკეული სახის დანახარჯების გამოყენების ხარისხი.

საოპერაციო მოგება არის საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული მოგება. იგი უდრის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული არასაწარმოო დანახარჯები, როგორცაა: მარკეტინგის და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები. ანუ, საოპერაციო შემოსავლებს მინუს საოპერაციო ხარჯები.

საოპერაციო მოგების გადახრაზე გავლენას ახდენს რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე მოქმედი ფაქტორები და აგრეთვე, მარკეტინგისა და ადმინისტრაციული ხარჯების ეფექტიანად გამოყენების ხარისხი.

მოგება დაბეგვრამდე (იგივე წლიური მოგება) უდრის საოპერაციო მოგებას მინუს საპროცენტო ხარჯი და პლიუს საპროცენტო შემოსავლები. რასაკვირველია, ამ

მაჩვენებლების ცვლილება დამატებით გავლენას ახდენს წლიური მოგების ცვლილებაზე.

წმინდა მოგება არის სხვაობა დასაბეგრ მოგებასა და მოგების გადასახადს შორის. მაშასადამე, მასზე გავლენას ახდენს მოგების გადასახადის ნორმა და ყველა ის ფაქტორი, რაც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი.

გაუნაწილებელი მოგება არის წმინდა მოგებიდან გაცემული დივიდენდისა და შექმნილი რეზერვების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი მოგება. მოგების გადასახადის საკანონდებლო მოთხოვნები საქართველოში შეიცვალა და წმინდა მოგება მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული დივიდენდებსა და რეინვესტირებაზე.

მოგება აბსოლუტური მაჩვენებელია, რომლის სიდიდე დამოკიდებულია მუშაობის ხარისხზე ანუ მომგებიანობაზე. პერიოდის განმავლობაში რაც უფრო მაღალი ეფექტიანობით იმუშავებს საწარმო, მით მეტ მოგებას მიიღებს იგი. მიუხედავად იმისა, რომ მომგებიანობა პერიოდის ბოლოს გამოითვლება, მოგების შეფარდებით აქტივების ჯამთან, არ ნიშნავს რომ, მოგების სიდიდე ახდენს გავლენას მომგებიანობაზე.

მთელი პერიოდის განმავლობაში საწარმო როგორი ეფექტიანობითაც მუშაობდა, ფინანსური შედეგიც შესაბამისი იქნება. ეფექტიანად მუშაობა ნიშნავს იმუშაო დროის და რესურსების დასაშვები მინიმალური დანაკარგებით, საქმის მაღალი კომპეტენციის ფარგლებში. ესაა ცალკეული პიროვნებისა და მთელი დასაქმებული გუნდური ძალისხმევა, რათა მიღებულ იქნას რაც შეიძლება მაღალი პოზიტიური ფინანსური შედეგი, რაც ყველა საწარმოს საბოლოო ეკონომიკურ მიზანს წარმოადგენს.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი მოძრაობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა, რომელიც გამოსადეგია მომხმარებელთა ფართო წრისათვის, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართვის შედეგებს.<sup>11</sup>

---

<sup>11</sup> ბასს 1. მუხლი 7.

საწარმოს ფინანსური შედეგი ასახულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია აჩვენებს ბიზნესის ფინანსურ აქტიურობას პერიოდის განმავლობაში. მასში მოცემულია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგი და შესაძლებელია შეფასდეს ბიზნესის ფინანსური ეფექტიანობა.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ ანუ მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია მომხმარებელს ეხმარება იმის გარკვევაში, როგორი უკუგება მიიღო საწარმომ მის განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსებიდან. რამდენად კარგად შეასრულა მმართველობამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რაციონალურად და ეფექტიანად გამოიყენოს საწარმოს რესურსები. შეაფასოს მომავალი ფულადი ნაკადების განუსაზღვრელობა და მომავალი ეკონომიკური უკუგება,

ბასს-ის მიხედვით, საწარმომ პერიოდის განმავლობაში აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი უნდა წარადგინოს:

ერთ, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში; ან

ორ ანგარიშგებაში: ანგარიშგებაში, რომელშიც გვიჩვენებს მოგებისა და ზარალის კომპონენტებს (განცალკევებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება) და მეორე ანგარიშგებაში, რომელიც იწყება მოგებით ან ზარალით და გვიჩვენებს „სხვა სრულ შემოსავლის“ კომპონენტებს (სრული შემოსავლის ანგარიშგება).

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ იმაზეც მიუთითებებს, რა გავლენა იქონია საწარმოს ეკონომიკური რესურსების და მის მიმართ არსებული მოვლენების გაზრდაზე ან შემცირებაზე ისეთმა მოვლენებმა, როგორცაა საბაზრო ფასები ან საპროცენტი განაკვეთის ცვლილება.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ შეიძლება იმაზეც მიუთითებდეს, რამდენად გაიზარდა საწარმოს განკარგულებაში მყოფი რესურსები და შესაბამისად, მისი შესაძლებლობა, უზრუნველყოს საწარმოს წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა თავის საქმიანობიდან და არა ინვესტორებისა და კრედიტორებისგან მოპოვებული დამატებითი რესურსებით.

ამრიგად შემოსავლების და ხარჯების კავშირი საწარმოს ფინანსურ შედეგთან არის პირდაპირი, რადგან მათზეა დამოკიდებული თუ რა და რამდენ შემოსავალს მიიღებს

საწარმო პერიოდის ბოლოს. სწორედ საწარმოში გაწეული შემოსავლები და ხარჯები განაპირობებენ საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდას.

უფრო ნათლად რომ დავინახოთ კავშირი შემოსავლების და ხარჯების საწარმოს ფინანსურ შედეგთან ამისათვის განვიხილოთ ერთი მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს რა დამოკიდებულებაა ამათ შორის.

მაგალითი ატარებს პირობით ხასიათს და მასში ასახული ინფორმაცია არის მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის მოცემული, და ამიტომ არ შეესაბამება რეალობას.

**მაგალითი:** დავუშვათ ერთ-ერთ საწარმოს გააჩნია ერთი თვის შემდეგი ინფორმაცია:

- 1.შემოსავალი რეალიზაციიდან 780 000
- 2.საპროცენტო შემოსავალი 9 000
- 3.საპროცენტო ხარჯები 11 000
- 4.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 525 000
- 5.კომერციული ხარჯები 28 000
- 6.საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები 41 000

გაიხსნება „T“ ანგარიშები და მომზადდება მოგება/ზარალის ანგარიშგება დანახარჯთა ფუნქციური მუხლების მიხედვით.

ქვემოთ წარმოდგენილია ის „T“ ანგარიშები, რომლებიც საჭიროა მოგება/ზარალის ანგარიშგების შედგენისათვის.

დებიტი	საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	კრედიტი
საერთო-ადმინისტრაციული	41 000	
საბოლოო ნაშთი	41 000	

დებიტი	კომერციული ხარჯები	კრედიტი
კომერციული ხარჯი	28 000	
საბოლოო ნაშთი	28 000	

დებეტი	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	კრედიტი
თვითღირებულება	525 000	
საბოლოო ნაშთი	525 000	

დებეტი	საპროცენტო ხარჯი	კრედიტი
საპროცენტო ხარჯი	11 000	
საბოლოო ნაშთი	11 000	

დებეტი	საპროცენტო შემოსავალი	კრედიტი
	საპროცენტო შემოსავალი	9 000
	საბოლოო ნაშთი	9 000

დებეტი	შემოსავალი რეალიზაციიდან	კრედიტი
	შემოსავალი რეალიზაციიდან	780 000
	საბოლოო ნაშთი	780 000

დებეტი	მოგების გადასახადი	კრედიტი
თვითღირებულება	27 600	
საბოლოო ნაშთი	27 600	

დებეტი	წმინდა მოგება	კრედიტი
	წმინდა მოგება	156 400
	საბოლოო ნაშთი	156 400

**მოგება/ზარალის ანგარიშგება**

შემოსავალი რეალიზაციიდან	780 000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(525 000)
მოგება რეალიზაციიდან	255 000
 კომერციული ხარჯები	 (28 000)



საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	(41 000)
საოპერაციო მოგება	186 000
საპროცენტო ხარჯები	(11 000)
საპროცენტო შემოსავლები	9 000
წლიური მოგება (მოგება დაბეგვრამდე)	184 000
მოგების გადასახადი	(27 600)
წმინდა მოგება	156 400
დარიცხული დივიდენდი	100 400
რეინვესტირებული მოგება	50 000

როგორც მაგალითიდან ჩანს საწარმოს ყოველ დონეზე მიიღება სხვადასხვა სახის მოგება, რომელიც შემდგომ გამოიყენება საწარმოს ანალიზისათვის. ამიტომ საჭიროა შემოსავლების და ხარჯების დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

მაგალითი გვიჩვენებს საწარმოს საბოლოო შედეგზე მოქმედ ფაქტორებს. ნათელია როგორ ახდენს მოგებაზე შემოსავლები და ხარჯები გავლენას და ვხედავთ თუ როგორ მნიშვნელოვანია საწარმოს შემოსავლების და ხარჯების სწორი აღრიცხვა.

## **თავი II. საანალიზო საწარმოს შემოსავლების ანალიზის შედეგები**

### **2.1. შემოსავლების ანალიზის მიზანი და საინფორმაციო წყარო**

ყველა ბიზნესის მფლობელს აქვს შემოსავლის გაზრდის მიზანი, მაგრამ ძირითად მიზნად ისახავს ისეთი მიზნის მიღწევას, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლების ზრდას. კომპანიები ყოველწლიურად აკეთებენ შემოსავლების ანალიზს, რადგან

დაადგინონ როგორი იყო წინა წელთან შედარებით შემოსავლების დონე, შეიძლება თუ არა მომავალში მიღებული შემოსავლის გაზრდა და რა გზებით არის შესაძლებელი უფრო მეტი შემოსავლის მიღება.

შემოსავლების ანალიზის საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია. ფინანსური ანგარიშგების ზოგადი მიზანია ორგანიზაციის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი სახსრების შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ეს ინფორმაცია გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მკითხველის მიერ რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

ორგანიზაციის შემოსავლების ანალიზისთვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა მოგება/ზარალის შესახებ ანგარიშგება. იგი აგებულია იმგვარად, რომ ცალკე ასახავს შემოსავლებს ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა მომხმარებელი დაინტერესებულია საწარმოს შემოსავლის გარკვეული მაჩვენებლებით. მაგალითად, საწარმოს ადმინისტრაცია დაინტერესებულია მათი სტრუქტურის მიერ მიღებული შემოსავლის ოდენობისა და მათი ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ. საგადასახადო ორგანოები დაინტერესებული არიან ყველა შემოსავლის შესახებ. პოტენციური ინვესტორები დაინტერესებული არიან შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობაზე.

საწარმოს შემოსავლის თითოეული კომპონენტის ანალიზი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ის საშუალებას აძლევს დამფუძნებლებს და აქციონერებს, ადმინისტრაციებს, აირჩიონ ორგანიზაციის აღმშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროები. საწარმოს შემოსავლის ანალიზის მიზანია განისაზღვროს მათი ღირებულების ოპტიმიზაციის გზები როგორც მთლიანად, ასევე ინდივიდუალური ტიპის საქმიანობიდან. ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა დინამიკის, სტრუქტურისა და ფაქტორული ანალიზის ჩატარება.

შემოსავლების ანალიზის ძირითადი მიზანი არის ზრდის რეზერვების მოძიება და მიღწევები ამ ოპტიმალური ურთიერთობის საფუძველზე ფინანსური შედეგებით, მართვის მოდელის შექმნის საფუძველზე.

შემოსავლების ანალიზი ასევე უზრუნველყოფს სხვა რიგი საკითხების გადაწყვეტას. ისეთი, როგორცაა:

- საკრედიტო გადაწყვეტილებები - კრედიტორები იყენებენ ინფორმაციის მთელ კომპლექსს, რათა განსაზღვრონ შეუზღუდონ თუ არა კრედიტის მოცულობა.
- საინვესტიციო გადაწყვეტილებები - ინვესტორები იყენებენ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რამდენად შემოსავლიანი და მომგებიანია კომპანია, რათა მათ განახორციელონ ინვესტირება.
- საგადასახადო გადაწყვეტილებები - სახელმწიფო სუბიექტები დაბეგვრას ახორციელებენ ბიზნესის აქტივებისა და შემოსავლების საფუძველზე.

შემოსავლის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია მოხმარებლებმა მიიღოს ინფორმაცია კომპანიის მომგებიანობის შესახებ, არსებობს თუ არა შემოსავლების ზრდის შესაძლებლობა და მოგების ზრდის ტემის გაზრდა. ასევე შემოსავლის ანალიზის დროს უნდა დადგინდეს რამდენად გაიზარდა წინა წელთან შედარებით მიღებული შემოსავალი და იყო თუ არა ეს მაქსიმალური გაწეული ხარჯების შესაბამისად.

შემოსავლების ანალიზისთვის საჭიროა მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის ჩატარება. ვერტიკალური ანალიზის დროს უნდა განვიხილოთ შემოსავლების სტრუქტურული ანალიზი, ხოლო ჰორიზონტალური ანალიზის დროს უნდა განვიხილოთ დინამიკური ცხრილები.

ნაშრომში განხილულია სს „სილქნეტის“ ფინანსური ანგარიშგება. ჩატარებულია მისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი.

სს „სილქნეტმა“ ფუნქციონირება 2010 წლიდან დაიწყო რამდენიმე ადგილობრივი სატელეკომუნიკაციო კომპანიის აქტივების გაერთიანების შედეგად. „სილქნეტი“ წარმოადგენს ქვეყნის უმსხვილეს ფიქსირებულ ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ინტერნეტის, მაუწყებლობის ტრანზიტის (საკაბელო ტელევიზიის) და ფიქსირებული ტელეფონის მომსახურებას ისევე, როგორც ფიქსირებულ და მობილურ CDMA სერვისებს. 2015 წლიდან სილქნეტი მომხმარებელს 4G LITE ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებას სთავაზობს და დრესდლებით რეგიონში უმსხვილესი საბითუმო ოპერატორია. 2017 წლის აგვისტოში კომპანიამ პირველად გამოუშვა ლარში დენომინირებული საჯარო ობლიგაციები.

„სილქნეტი“ 1997 წელს გიორგი რამიშვილის მიერ დაარსებული „სილქ როუდ ჯგუფის“ კომპანიაა. „სილქ როუდ ჯგუფი“ არის ერთ-ერთი მოწინავე, კერძო საინვესტიციო ჯგუფი, რომელიც ოპერირებს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ხოლო საქართველოში იგი წარმოადგენილია სხვადასხვა სექტორში, მათ შორის სატრანსპორტო, უძრავი ქონების, სასტუმრო ბიზნესის, სატელეკომუნიკაციო და სხვა.

დღესდღეობით „სილქ როუდ ჯგუფის“ კომპანიებში დასაქმებულია დაახლოებით 5000 ადამიანი. ბოლო ათი წლის განმავლობაში, „სილქ როუდ ჯგუფმა“ პარტნიორებთან ერთად საქართველოს ეკონომიკაში 500 მლნ. აშშ დოლარის ინვესტირება მოახდინა.<sup>12</sup>

სს „სილქნეტი“ სილქ როუდ ჯგუფის შვილობილი კომპანია საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიდერია, რომელიც მომხმარებლებს ინტერნეტს, სატელევიზიო, ფიქსირებული სატელეფონო და ბიზნეს სატელეკომუნიკაციო სერვისებს აწვდის. კომპანიას FITCH-ის მიერ მინიჭებული აქვს B+ რეიტინგი. სილქნეტი 2017 წლის 6 თვის მონაცემებით (gncc) საქართველოს ფიქსირებული ინტერნეტ ბაზრის 41% ფლობს, მაუწყებლობის ტრანზიტზე (IPTV) ბაზრის 30% - ს, ხოლო ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომხმარებელთა 48% ემსახურება.

სს „სილქნეტმა“ 2018 წლის 20 მარტს შეიძინა საქართველოში მეორე უმსხვილეს მობილურ ოპერატორში შპს „ჯეოსელი“, რომელშიც 151.7 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე საანალიზო საწარმოს გაეზარდა როგორც შემოსავლები, ასევე შესაბამისი დანახარჯები.

სს „სილქნეტის“ უზრუნველყოს ხალხის და კომპანიების კომუნიკაცია. ის შესაძლებლობას იძლევა უწყვეტ რეჟიმში მიიღოს და გასცეთ ინფორმაცია. ისინი ფიქრობენ რომ, თავიანთ ინტერნეტზე წვდომით ჩვენი შვილების განათლებისთვის საუკეთესო საფუძველს ქმნიან. მათი მიზანია უკეთესი კავშირის უზრუნველყოფა თანამედროვე ინტერნეტ-ტექნოლოგიების საშუალებით.

კომპანიის ხედვაა განათლებისთვის საჭირო ინფორმაცია, კავშირი გარე სამყაროსთან. დღეს ინტერნეტი ინფორმაციის მიღების საუკეთესო საშუალებაა. საქართველოში სილქნეტის მაღალი ხარისხის ინტერნეტის დაფარვის არეალის გაზრდით, ისინი მეტ

<sup>12</sup> [http://silknet.com/?module=news&id=158&type\\_id=1&language=ge](http://silknet.com/?module=news&id=158&type_id=1&language=ge)

ოჯახს უხსნიან გზას განათლების მისაღებად და შესაბამისად მყარ საფუძველს ქმნიან მათი კეთილდღეობისთვის.<sup>13</sup>

საანალიზო საწარმოს მიერ წარმოდგენილია 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, სადაც წარმოდგენილი გვაქვს მათ მიერ შედგენილი მოგება ზარალის ანგარიშგება, რომელიც იქნება გამოყენებული ანალიზის ჩატარებისთვის.

ცხრილი 2.1.1. არის მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია, რომელიც მოცემულია საანალიზო საწარმოს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული მოგება/ზარალის მიხედვით ანალიზისთვის აგებულია კვლევის შესაბამისი მოგება/ზარალის ანგარიშგების ცხრილები, რომელიც მოცემულია ნაშრომში.

საანალიზო საწარმოს მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მოცემული აქვს კომპანიის მიერ გაწეული სხვადასხვა ხარჯები. ესენია: მიღებული მომსახურება; პერსონალის ხარჯი, რომელიც ხელფასის სახითაა გაცემული; ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი; სხვა საოპერაციო ხარჯები და სხვა ხარჯები.

ცხრილში საწარმოს მოცემული აქვს ასევე მოგება საოპერაციო საქმიანობიდან, მოგება დაბეგვრამდე და მოგება და სრული შემოსავალი წლის განმავლობაში.

### ცხრილი 2.1.1.<sup>14</sup>

სს „სილქნეტის“ 2018 წლის მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი

მაჩვენებლები	2018 (ათ.ლ)	ხვ/წ %-ად
შემოსავალი	344.31	100

<sup>13</sup> <http://silknet.com/?module=management&language=ge>

<sup>14</sup> სს „სილქნეტის“ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

მიღებული მომსახურება	(46.662)	13.6
პერსონალის ხარჯი	(55.506)	16.2
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(98.458)	28.5
სხვა საოპერაციო ხარჯი	(39.63)	11.6
სხვა ხარჯები	(31.565)	9.1
<b>მოგება საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>72.489</b>	<b>21.0</b>
საპროცენტო შემოსავალი	2.722	0.8
საპროცენტო ხარჯი	(47.242)	13.7
სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი	(37.527)	10.9
<b>წმინდა ფინანსური ხარჯი</b>	<b>(82.047)</b>	<b>23.8</b>
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>(9.558)</b>	<b>2.8</b>
მოგების გაასახადის შეღავათი / ხარჯი	(0.718)	0.2
<b>მოგება და სრული შემოსავალი წლის განმავლობაში</b>	<b>(10.276)</b>	<b>2.9</b>

როგორც 2.1.1. ცხრილიდან ჩანს, შემოსავლების მიმართ ყველაზე მაღალი წილი უჭირავს ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს - 28.5%; მიღებული მომსახურება შეადგენს 13.6%-ს. ასევე მაღალია საპროცენტო ხარჯების წილი - 13.7%. პერსონალის ხარჯი 16.2%-ს შეადგენს. კომპანიის მოგება საოპერაციო საქმიანობიდან წარმოადგენს 21%-ს, ხოლო მოგება დაბეგვრამდე არის 2.8%. კომპანიის მიერ 2018 წელს განხორციელებული ტრანზაქციის მიხედვით შეგვიძლია ითქვას, რომ მოგების ეს მაჩვენებელი წარმოადგენს დამაკმაყოფილებელს, რადგან აღნიშნულ პერიოდში კომპანიამ შეიძინა სხვა კომპანია, რომელზეც გაწეული აქვს დიდი ფინანსური ხარჯი.

## 2.2. შემოსავლების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი არის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებათა განხილვისა და ანალიზის პროცესი, რათა უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღონ მომავალში შემოსავლების ზრდისთვის.

შემოსავლების ანალიზი გამოიყენება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, როგორცაა საკრედიტო და სააქციო კაპიტალის ინვესტორები, მთავრობა, საზოგადოება და კომპანიის მმართველობა ანუ გადაწყვეტილების მიმღები პირები.

მოგება/ზარალის ანალიზი, როგორც ცნობილია, იწყება ვერტიკალური ანალიზით, რომელიც მოიცავს მოგება/ზარალის ანგარიშგების საერთო სტრუქტურულ ანალიზს.

მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზის დროს, გამოითვლება მისი ყველა მუხლის პროცენტული წილი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მიმართ.

**ცხრილი 2.2.1.**

სს „სილქნეტის“ მოგება/ზარალის ანგარიშგების საერთო სტრუქტურა 2018 წ.

მოგება/ზარალის მუხლები	ათას ლ	ხვ. წ %-ად
შემოსავლები	344.31	100
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(102.168)	(29.7)
<b>მოგება რეალიზაციიდან</b>	242.142	70.3
კომერციული ხარჯი	(31.565)	(9.2)
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი	(138.088)	(40.1)
<b>საოპერაციო მოგება</b>	72.489	21.1
საპროცენტო შემოსავალი	2.722	0.8
საპროცენტო ხარჯი	(47.242)	(13.7)
უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული მოგება (ზარალი)	(37.527)	(10.9)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	(9.558)	(2.8)
მოგების გადასახადი	(0.718)	(0.2)
<b>წმინდა მოგება</b>	(10.276)	(3.0)

ამრიგად გამოთვლები აჩვენებს, რომ რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების მიმართ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 29.7%-ს შეადგენს; კომერციული ხარჯები 9.2%-ს, საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები 40.1%-ს, მოგება დაბეგვრამდე 2.8%-ს, მოგების გადასახადი -0.2%-ს შეადგენს და წმინდა მოგება -3%-ს შეადგენს.

ფინანსურმა მენეჯმენტმა ყურადღების გარეშე არ უნდა დატოვოს საპროცენტო და სხვა შემოსავლების მაჩვენებლები. უფრო სრული სურათი გამოჩნდება, თუკი რამდენიმე წლიანი პერიოდი იქნება გამოკვლეული (იხ. ცხრილი 2.2.2.).

**ცხრილი 2.2.2.**

**სს „სილქნეტის“ შემოსავლების სტრუქტურა 2014-2018 წელს**


შემოსავლების ელემენტები	2014		2015		2016		2017		2018	
	ათას ლ	ხვ.წ %	ათას ლ	ხვ.წ %	ათას ლ	ხვ.წ %	ათას ლ	ხვ.წ %	ათას ლ	ხვ.წ %
შემოსავალი რეალიაციიდან	253.4	97.4	160.0	92.4	161.9	99.3	172.6	99.5	344.3	99.2
საპროცენტო შემოსავალი	6.8	2.6	13.2	7.6	1.2	0.7	0.9	0.5	2.7	0.8
სხვა შემოსავლები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
<b>სულ შემოსავლები</b>	<b>260.2</b>	<b>100</b>	<b>173.2</b>	<b>100</b>	<b>163.1</b>	<b>100</b>	<b>173.5</b>	<b>100</b>	<b>347</b>	<b>100</b>

როგორც 2.2.2. ცხრილიდან ჩანს, საანალიზო საწარმოს შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს უჭირავს. ასე მაგალითად, 2014 წელს მისი წილი 97.4% იყო, შემდეგ ყოველწლიურად იზრდებოდა და 2018 წლის 99.2 შეადგინა. რაც შეეხება ის შესამჩნევად იზრდება 2015 წლისთვის. საპროცენტო შემოსავლების მკვეთრი ზრდა არის 2015 წელს, რომელიც გაზრდილია 7.6 ათას ლარამდე, ხოლო სხვა სახის შემოსავლები კომპანიას აღნიშნულ პერიოდში არ მოუღია.

**დიგრამა 2.2.1.**

**სს „სილქნეტის“ შემოსავლების სტრუქტურა %-ში 2014-2018 წლის**





დიაგრამაზე მოცემულია საანალიზო საწარმოს შემოსავლის გრაფიკი. გრაფიკიდან ჩანს რომ 2014-18 წლებში თანაბარი იყო საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლები, მხოლოდ მცირე გადახრა იყო 2015 წელს. ცხრილი აჩვენებს რომ ყოველწლიურად დაახლოებით ერთნაირი იყო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალის პროცენტული რაოდენობა.

ჰორიზონტალური ანალიზი ანუ ტენდენციების ანალიზის მეთოდის გამოყენების დროს გამოიანგარიშება ცალკეული ფინანსური მაჩვენებლები საანალიზო-საანგარიშო პერიოდში და ხდება მათი შედარება საბაზისო პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, რითაც განისაზღვრება კონკრეტული ფინანსური მაჩვენებლის ცვლილების ტემპი (ზრდა ან კლება). ამ დროს გამოირიცხება ცალკეული პერიოდების შემთხვევითი ფაქტორები და ინდივიდუალური თავისებურებები, განისაზღვრება ტრენდი ანუ მაჩვენებელთა დინამიკის საერთო ძირითადი ტენდენციები, რაც საფუძვლად ედება საპროგნოზო პარამეტრების განსაზღვრას და პერსპექტივების შეფასებას.

მოგება/ზარალის ანგარიშების სტრუქტურის მიმოხილვის შემდეგ ტარდება ჰორიზონტალური ანალიზი, რომელსაც მიეკუთვნება მოგება/ზარალის ანგარიშების ელემენტების დინამიკისა და გადახრების მიმოხილვა, მათი ცვლილებების ტენდენციების გამოკვლევა განვლილი რამდენიმეწლიანი პერიოდისთვის.

### ცხრილი 2.2.3.

სს „სილქნეტის“ შემოსავლების დინამიკა 2014 წელთან შედარებით -ში


მოგება/ზარალის მუხლები	2014	2015	2016	2017	2018
------------------------	------	------	------	------	------

შემოსავალი რეალიზაციიდან	100	63.1	63.9	68.1	135.9
საპროცენტო შემოსავალი	100	193.0	17.7	13.3	39.9
სხვა შემოსავლები	0	0	0	0	0
სულ შემოსავლები	100	66.6	62.7	66.7	133.4

ცხრილი 2.2.3 გვიჩვენებს სს „სილქნეტის“ შემოსავლების დინამიკას 2014 წელთან შედარებით, სადაც ნათლად ჩანს თუ როგორ იცვლებოდა კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები, კერძოდ ჩანს რომ 2015 წლიდან შემოსავლები რეალიზაციიდან დაეცა 63.1 %-მდე და 2015 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი იზრდებოდა. ხოლო, 2018 წელს საგრძნობლად იგრძნობა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ზრდა, რომელიც 135.9 %-მდეა გაზრდილი 2014 წელთან შედარებით. საპროცენტო შემოსავლები კი, 2015 წელს გაზრდილია 193 %-ით, ხოლო დანარჩენ წლებში კი საპროცენტო შემოსავლები 2014 წელთან შედარებით შემცირებულია, რაც მიუთითებს იმას, რომ კომპანიის მთავარი პრიორიტეტი შემოსავლების მიღების იყო შემოსავალი რეალიზაციიდან ანუ კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან.

### დიაგრამა 2.2.2.

სს „სილქნეტის“ შემოსავლების დინამიკა 2014 წელთან შედარებით %-ში



დიაგრამები 2.2.2. და 2.2.3 აგებულია ცხრილი 2.2.3-ის მიხედვით, რომელიც გვიჩვენებს თვალსაჩინოდ თუ როგორ იცვლება შემოსავლები 2014-2018 წლებში.

როგორც დიაგრამიდან ჩანს 2015 წელს გაზრდილია შემოსავალი რეალიზაციიდან და შემცირებულია შესაბამისად საპროცენტო ხარჯები, ხოლო შემდეგ წლებში ჯერ მცირდება ორივე სახის შემოსავალი და შემდეგ ზრდას იწყებს.

დიაგრამიდან ჩანს, რომ 2015-2018 წლებში კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი რეალიზაციიდან დაახლოებით ერთიდაიგივე მაჩვენებელია და 2014 წელთან მიმართებაში 60-70 პროცენტის შუალედში მერყეობს.

საპროცენტო შემოსავლების ზრდა 2015 წელს გამოწვეულია კომპანიაში არსებული თავისუფალი ფულის დიდი რაოდენობით, რომელიც შემდეგ გამოყენებულია კომპანიის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებში.

### **2.3. შემოსავლების ფაქტორული ანალიზის შედეგები**

ფაქტორული ანალიზის დროს ვლინდება ამა თუ იმ მაჩვენებელზე ძლიერად და სუსტად მოქმედი ფაქტორები. ფაქტორული ანალიზი შეიძლება იყოს პირდაპირი, როცა

ხდება შედეგობრივი მაჩვენებლის დაყოფა ცალკეულ შემადგენელ ელემენტებად და შებრუნებული (სინთეზური), როცა ცალკეული ელემენტების სინთეზირება ხდება ერთიან შედეგში. გამოიყოფა მთავარი და მეორეხარისხოვანი ფაქტორები, განისაზღვრება ამა თუ იმ ფაქტორის შედეგზე ზემოქმედების სიძლიერე.

**ცხრილი 2.3.1.**

**სს „სილქნეტის“ 2018 წლის შემოსავლების გადახრები 2017 წელთან შედარებით**

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
შემოსავალი რეალიზაციიდან	172.6	344.3	+171.7
საპროცენტო შემოსავალი	0.9	2.7	+1.8

ცხრილი 2.3.1-დან ჩანს 2018 წლის ორივე სახის შემოსავლები იზრდება, როგორც შემოსავალი რეალიზაციიდან, ასევე საპროცენტო შემოსავლებიც. გადახრა აჩვენებს რომ წინა წელთან შედარებით 2018 წელს შემოსავალი რეალიზაციიდან გაიზარდა 171.7 ათასი ლარით, ხოლო საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა 1.8 ათასი ლარით. რაც ნიშნავს რომ სს „სილქნეტს“ აქვს გაზრდილი ზრდის ტემპი რაც აისახება მის მიერ მიღებულ შემოსავლებში.

ასევე შესასწავლ ობიექტს წარმოადგენს რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფაქტორული ანალიზის შედეგები. კერძოდ, ცალკეული სახის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების გადახრის გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად, გაიზომება:

ა. ფასის ცვლილების გავლენა, რომელიც უდრის: ერთი ცალი პროდუქტის ფასის გადახრა გეგმიდან, გამრავლებული რეალიზებული პროდუქციის ფაქტიურ რაოდენობაზე.

ბ. პროდუქციის რაოდენობის ცვლილების გავლენა უდრის: გადახრა რეალიზებული პროდუქციის რაოდენობაში, გამრავლებული გეგმიურ ფასზე.

გ. დანახარჯების ცვლილების გავლენა კი გეგმიური სიდიდან მათი გადახრის ტოლია.

ინფორმაციის გარე მომხმარებლების მიერ შეიძლება გაიზომოს მთლიანი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე მოქმედი შემდეგი ფაქტორების

გავლენით: რეალიზებული პროდუქციის ფასების ცვლილების გავლენა, პროდუქციის მოცულობის ცვლილების და მთლიანი თვითღირებულების ცვლილების გავლენაზე.

**ცხრილი 2.3.2.**

**რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ცვლილების გავლენა მოგებაზე 2017-2018 წლებში**

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
შემოსავალი რეალიზაციიდან (ათ.ლ)	173	344	+171
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(71)	(102)	-31
მოგება რეალიზაციიდან (ათ.ლ)	102	242	+140

როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება წინა წელთან შედარებით 140 ათასი ლარით გაიზარდა. ეს გადახრები გამოწვეულია შემდეგი ძირითადი ფაქტორების გავლენით:

- რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ცვლილება;
- პროდუქციის ფასების ცვლილება;
- რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ცვლილების გავლენა.

რეალიზაციის მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 198.8 %-ით ( $344/173*100$ ), რომელიც მოიცავს რეალიზებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილების გავლენას. ეს კი გამოწვეულია საანალიზო საწარმოს მიერ შექმნილი შპს „ჯეოსელის“ შემენით, რომლის მეშვეობით გაიზარდა საანალიზო საწარმოს საქმიანობის სფერო და კომპანიის აქტივები. შემოსავლების ზრდა დადებით მოვლენაა, რადგან ზრდის მოგებას ანუ საწარმოს საბოლოო ფინანსურ შედეგს.

შემოსავლების ანალიზის დროს ასევე გამოთვლილ იქნა სხვადასხვა მაჩვენებლები და ჩავატარეთ შესაბამისი ანალიზი. კვლევაში განხილულია 2018 წლის მონაცემები, რომლის მიხედვითაც გამოითვალა აღნიშნული მაჩვენებლები.

1. შემოსავლები / აქტივები \*100=  $344/257.380*100=133$  %

მოცემული მაჩვენებელი იძლევა ინფორმაციას თუ საწარმო რამდენ პროცენტ შემოსავალს მიიღებს 1 ლარ აქტივზე. მოცემული მაგალითის მიხედვით საწარმო 1 ლარ

აქტივზე იღებს 133 % შემოსავალს, რაც მიუთითებს, რომ საწარმოში აქტივების გამოყენების ეფექტიანობა გაზრდილია.

2. შემოსავალი / საოპერაციო ხარჯი \*100 =  $344/271.821*100=126\%$

მოცემული მაჩვენებელი გვამღევეს ინფორმაციას თუ საწარმო რამდენ პროცენტ შემოსავალს იღებს მის მიერ დახარჯული 1 ლარის შედეგად. აღნიშნული გამოთვლის შედეგად ჩანს რომ კომპანია ყოველ დახარჯულ 1 ლარზე იღებს 126% შემოსავალს.

3. შემოსავლები / სესხები \* 100 =  $344/375,791*100=91.5\%$

მოცემული მაჩვენებელი გვამღევეს ინფორმაციას საწარმოს მიერ აღებული სესხი რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული საწარმოში. მოცემული მაჩვენებლის მიხედვით ყოველ 1 ლარ სესხს საწარმოსთვის მოაქვს 91.5 % შემოსავალი, რაც იმას ნიშნავს რომ სესხები არაეფექტიანად გამოიყენება. საპროცენტო ხარჯის უზრუნველყოფა:  $553/575.4 = 0.96$ . მაშასადამე, საანალიზო საწარმო საპროცენტო ხარჯებს საოპერაციო მოგებით ვერ უზრუნველყოფს, რაც ნიშნავს, რომ საწარმო ფინანსური კრიზისის საფრთხის წინაშეა.

შემოსავლების ანალიზის დროს ასევე განხილულია შემოსავლების დამოკიდებულება აქტივებთან და მიმდინარე აქტივებთან. 2.3.3. ცხრილში მოცემულია საანალიზო საწარმოს 2014-2018 წლების შემოსავლები და შესაბამისად აქტივებისა და მიმდინარე აქტივების მაჩვენებლები.

**ცხრილი 2.3.3.**

**სს „სილქნეტის“ შემოსავლები და აქტივები 2014-2018 წელს %-ში**

მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან (ათ.ლ)	253.4	160.0	161.9	172.6	344.3
შემოსავლის დინამიკა %-ად 2014 წელთან	100	63.1	63.9	68.1	135.9
აქტივები (ათ.ლ)	306.8	244.8	247.4	257.4	697.6
აქტივების დინამიკა %-ად 2014 წელთან	100	79.8	80.6	83.9	227.4

ცხრილში მოცემულია აქტივები და შემოსავლები წლების მიხედვით თუ როგორ იცვლებოდა ისინი დინამიკაში. მოცემული ცხრილის მიხედვით შეგვიძლია ითქვას, რომ 2014 წლის შემდეგ კომპანიის შემოსავალი დაეცა, რომელიც 2015 წელს 37 %-ს წარმოადგენს. 2015 წლიდან დაიწყო კომპანიამ წინა წელთან შედარებით შემოსავლის

რაოდენობის ზრდა, რომელიც 2018 წელს 2014 წელთან შედარებით დაახლოებით 36%-ია. ეს ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ 2018 წელს სს „სილქნეტმა“ შეიძინა შპს „ჯეოსელი“, რომელმაც გამოიწვია როგორც შემოსავალის, ასევე კომპანიის აქტივების ზრდა. როგორც ცხრილი 2.3.3-დან ჩანს 2015 წელს 2014 წელთან შედარებით კომპანიის აქტივების რაოდენობა მცირდება, ხოლო 2015 წლიდან მოყოლებული 2018 წლამდე კომპანიის აქტივების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და 2018 წელს განხორციელებული ოპერაციის მიხედვით კომპანიის აქტივები მაქსიმალურ შედეგს აღწევს და ის 697.6 ათას ლარს წარმოადგენს, რომელიც 2014 წელთან შედარებით გაზრდილია 127%-ით. ცხრილი გვიჩვენებს, რომ აქტივების რაოდენობა პირდაპირ პროპორციულია შემოსავალი რეალიზაციასთან, სადაც ერთი მაჩვენებლის ცვლილება იწვევს მეორე მაჩვენებლის შესაბამის ცვლილებას. გამომდინარე აქედან შეგვიძლია ითქვას, რომ სს „სილქნეტის“ მიერ განხორციელებული შესყიდვა კომპანიის რენტაბელური აღმოჩნდა. აქტივების ზრდამ გამოიწვია შემოსავლების ზრდა და პირიქით.

### **თავი III. დანახარჯების ანალიზის შედეგები**

#### **3.1. დანახარჯების მიზანი და საინფორმაციო წყარო**

საწარმოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია საბაზრო პირობებში ეკონომიკური საქმიანობით მაქსიმალური მოგების მიღება. ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევის

შესაძლებლობები შემოიფარგლება პროდუქციისა და გაყიდვების ღირებულებით, ასევე კომპანიის პროდუქციის მოთხოვნით ბაზარზე.

ხარჯები, შესაბამისად, არის ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მიწოდების ოდენობას და მოგების ზომას. აქედან გამომდინარე, მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელია პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების მიმდინარე ხარჯების ანალიზის გარეშე და ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება ახლად განვითარებული პროექტებისა და ბიზნეს გეგმების განხორციელებისას. ხარჯების ანალიზის ძირითადი ამოცანებია: ხარჯების სავარაუდო ღირებულებების მოქმედების შეფასება; ფაქტორების გავლენის განსაზღვრა და გაზომვა, რომლებიც დადებითად და უარყოფითად მოქმედებს ხარჯებზე; ხარჯების სტრუქტურის შესწავლა და დინამიკის სხვადასხვა ფაქტორების გავლენის განსაზღვრა.

ხარჯების ანალიზის ობიექტს წარმოადგენს პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების საერთო ღირებულება და გარკვეული სახის ხარჯები.

პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების ღირებულების ანალიზი ხარჯების მართვის სისტემაში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. იგი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს ტენდენციები, რათა დადგინდეს სტანდარტი და მათი გადახრების მიზეზები, რეზერვების იდენტიფიცირება საწარმოო ხარჯების შესამცირებლად და სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით.

ხარჯების მართვის სისტემის ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია მათ ანალიზზე ორგანიზაციაში, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს შემდეგ ფაქტორებს: საწარმოში გამოყენებული ღირებულების აღრიცხვის ფორმა და მეთოდი, საწარმოს საბუღალტრო და ანალიტიკური პროცესის ავტომატიზაციის ხარისხი, საოპერაციო ხარჯების დონის სწორი დაგეგმვა.

ხარჯების ანალიზი მიზნად ისახავს პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების პროცესში მატერიალური, შრომისა და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობებს.

დანახარჯების ანალიზის საინფორმაციო წყარო არის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები და ფინანსური ანგარიშგებაში შემავალი ხუთივე კომპონენტი, რომლებიც იძლევა სრულ ინფორმაციას საწარმოში, არსებული დანახარჯების შესახებ.



საწარმოს დანახარჯების ანალიზის დროს გამოიყენება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდები. გამოითვლება საწარმოს სტრუქტურის მონაცემები და განიხილება დანახარჯები დინამიკაში. ანალიზს ტარდება ყველა დანახარჯის მუხლის მიხედვით.

საანალიზო საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული აქვს სხვადასხვა სახის ხარჯები. ისეთები როგორცაა: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, კომერციული ხარჯები, საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი, საპროცენტო ხარჯი, უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული ზარალი და მოგების გადასახადის ხარჯი.

### **3.2. დანახარჯების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი**

მოგება/ზარალის ანგარიშგება როგორც ზემოთ ნაშრომშია ნახსენები იწყება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის ჩატარებით. ვერტიკალური ანალიზის

დროს განვიხილეთ დანახარჯების სტრუქტურა, რომელიც შედგენილია ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

### ცხრილი 3.2.1

სს „სილქნეტის“ დანახარჯების სტრუქტურა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით %-ში

დანახარჯთა ელემენტები	2014	2015	2016	2017	2018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	57.9	50.0	51.0	44.9	31.9
კომერციული ხარჯი	13.3	15.3	22.2	19.9	9.9
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი	20.0	22.1	29.8	26.0	31.5
საპროცენტო ხარჯი	5.6	7.0	7.9	8.8	14.8
უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული ზარალი	0.3	3.2	0.0	0.0	11.7
მოგების გადასახადი	2.9	2.4	(10.9)	0.4	0.2
სულ	100	100	100	100	100


როგორც დანახარჯების სტრუქტურიდან ჩანს საანალიზო საწარმოს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2014-2018 წლებში თანდათან მცირდება 59.9 %-დან 31.9 %მდე, რასაც ვერ ვიტყვით კომერციულ და საერთო-ადმინისტრაციულ ხარჯებზე. კომერციული ხარჯები 2014 წელს არის 13.3%, რომელიც მომდევნო წლებში უფრო და უფრო მატულობს, რომელსაც მხოლოდ 2018 წელს აქვს აღნიშნული დანახარჯი 9.9 %-მდე შემცირებული. საერთო-ადმინისტრაციული ხარჯებს კი ბოლო 5 წლის განმავლობაში ახასიათებს ზრდა, რომელიც 2018 წლისთვის წარმოადგენს 31.5 %-ს.

საანალიზო საწარმოს საპროცენტო ხარჯებიც ყოველწლიურად იზრდება დაწყებული 2014 წლიდან დამთავრებული 2018 წელს, რაც მიუთითებს იმას რომ კომპანიას შემოსავლების ზრდისთვის ჭირდება და მატებითი სახსრების მოზიდვა და მისი კომპანიაში გამოყენება. ხოლო უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად

წარმოშობილი ხარჯი უმნიშვნელოდ დაბალია წინა წლებში გარდა 2018 წლისა, რომელიც გამოწვეულია ვალუტის კურსის არასტაბილური მდგომარეობით

**დიაგრამა 3.2.1**

**სს „სილქნეტის“ დანახარჯების სტრუქტურა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით %-ში**



მოგების გადასახადის ხარჯი 2014 და 2015 წელს მერყეობს 2-სა და 3-ს შორის ხოლო 2017 წლის საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმის, კერძოდ მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვის შედეგად მცირდება და შეადგენს 0.5 %-ზე ნაკლებს.

დიაგრამაზე 3.2.1. მოცემულია დანახარჯების სტრუქტურა რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს რომელ წელს რომელი დანახარჯი იზრდებოდა და შესაბამისად რომელი დანახარჯი მცირდებოდა. მხოლოდ 2016 წელს არის უარყოფითი მაჩვენებელი მოგების გადასახადში რაც ნიშნავს რომ საგადასახადოს რეფორმების შედეგად კომპანიას არ ჰქონდა გადასახდელი მოგების გადასახადი.

ხარჯების სტრუქტურული ანალიზის შემდეგ ტარდება ჰორიზონტალური ანუ დინამიკური ანალიზი. 3.2.2. ცხრილში წარმოდგენილია საანალიზო საწარმოს დანახარჯების დინამიკის მაჩვენებლები.

**ცხრილი 3.2.2.**

სს „სილქნეტის“ ხარჯების დინამიკური ანალიზი 2014 წელთან შედარებით %-ში

მოგება/ზარალის მუხლები	2014	2015	2016	2017	2018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	100	94.0	78.2	83.6	120.5
კომერციული ხარჯი	100	125.5	34.1	37.0	37.2
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი	100	115.2	43.2	48.4	162.9
საპროცენტო ხარჯი	100	135.9	12.1	16.3	55.7
უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული მოგება (ზარალი)	100	1208.7	(1.0)	0.0	44.3
მოგების გადასახადი	100	89.5	(16.8)	0.7	0.8
სულ ხარჯები	100	107.8	149.8	107.7	244.0

ცხრილი 3.2.2-ის მიხედვით 2014-2018 წლებში კომპანიას არ ახასიათებს სტაბილურობა დანახარჯების მუხლების მიხედვით ანუ ამ პერიოდში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2014 წელთან შედარებით იკლებს 20-23 %-ით, ხოლო 2018 ის იზრდება 120.5 %-მდე.

კომერციულ ხარჯებს მხოლოდ 2015 წელს ახასიათებს ზრდა 125.5 %-მდე, სხვა წლებში ის მერყეობს 34-37 %-ის ფარგლებში.


საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები 2015 წელს იზრდება 115.2 %-მდე, ხოლო 2016-2017 წლებში ის მერყეობს 43-48 %-ის ფარგლებში. 2018 წელს ის იზრდება 162.9 %-მდე.

საპროცენტო ხარჯები 2015 წელს გაზრდილია 135.9 %-მდე, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი მერყეობს 12-16 %-ის ფარგლებში, ხოლო 2018 წელს შედარებით იზრდება და აღწევს 55.7 %-ს.

მოგების გადასახადი 2015 წელს გაზრდილია 7.8 %-ით, მაგრამ შემდეგ საგადასახადო რეფორმის შედეგად მოგების გადასახადის ხარჯი შემცირდა 0.7-0.8 %-მდე.

**დიაგრამა 3.2.2.**

სს „სილქნეტის“ ხარჯების დინამიკური ანალიზი 2014 წელთან შედარებით %-ში



მთლიანობაში, ხარჯები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იზრდება. 2016 წელს მატებამ დაახლოებით 50 % შეადგინა, ხოლო 2018 წელს დანახარჯები გაზრდილია დაახლოებით 1.5-ჯერ.

დიაგრამა 3.2.2 -ში მოცემულია საანალიზო საწარმოს დანახარჯების პროცენტული ცვლილებები ყოველ წლიურად 2014-2018 წლებში. დიაგრამა აჩვენებს დანახარჯების ტენდენციებს დინამიკაში.

ანალიზის დროს შესაძლებელია ასევე საპროცენტო ხარჯის ლევერიჯის დადგენა, რომლის მნიშვნელობის ზრდა არის საანალიზო საწარმოსთვის რისკის შემცველი.

$$\text{საპროცენტო ხარჯის ლევერიჯი} = \frac{\text{საპროცენტო ხარჯი}}{\text{საოპერაციო მოგება}}$$

საჭირო ინფორმაცია მოცემულია 3.2.3. ცხრილში.

### ცხრილი 3.2.3

სს „სილქნეტის“ საპროცენტო ლევერიჯი 2014-2018 წლებში

მოგება /ზარალის ელემენტები	2014	2015	2016	2017	2018

საპროცენტო ხარჯი (ათ.ლ)	8.2	11.2	10.2	13.9	47.2
საოპერაციო მოგება (ათ.ლ)	19.8	22.1	30.0	29.3	72.5
საპ. ხარჯ. ლევერიჯის დონე	0.41	0.50	0.34	0.47	0.65

3.2.3. ცხრილის მონაცემებით ჩანს, რომ 2018 წელს საპროცენტო ხარჯის ლევერიჯი იზრდება და ბოლო 5 წლის განმავლობაში აღწევს მაქსიმალური 0.65-ს, რაც გამოწვეულია კომპანიის მიერ სხვა კომპანიის შესყიდვით. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს რიცხვი არ არის საგანგაშო, რადგან 2018 წლისთვის შესაბამისად იზრდება შემოსავლები.

შემდეგ შესწავლილ იქნა ფასნამარტის მაჩვენებლები (იხ.ცხრილი 3.2.4).

#### ცხრილი 3.2.4.

სს „სილქნეტის“ ფასნამარტის მაჩვენებლები %-ში

მოგება/ზარალისმუხლები	2014	2015	2016	2017	2018
საოპერაციომოგება	19,82	22,11	30,03	29,328	72,489
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	84,8	79,7	66,3	70,891	102,168
<b>ფასნამარტი (%-ად)</b>	<b>23,37</b>	<b>27,74</b>	<b>45,28</b>	<b>41,37</b>	<b>70,95</b>

ფასნამარტი არის მოგების ფარდობა თვითღირებულებასთან და გამრავლებული 100-ზე. იგი აჩვენებს რამდენი % მოგება მიიღო 1 ლარ დანახარჯზე კომპანიამ.

$$\text{ფასნამარტი} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}}$$

ფასნამარტის მაჩვენებელი ცხრილის მიხედვით ყოველწლიურად იზრდება და 2018 წელს ის აღწევს მაქსიმალურ შედეგს დაახლოებით 71 %-ს. ეს გამოწვეულია შესაბამისი პერიოდების დანახარჯების საგრძნობლად შემცირებით და ამავე დროს გაყიდვების რაოდენობის ზრდით.

### 3.3. შემოსავლების, ხარჯების და მოგების კორელაციური ანალიზი

რენტაბელობის (მომგებიანობის) მაჩვენებლები ახასიათებს ფირმის უნარს, გენერირება გაუწიოს აუცილებელ მოგებას თავისი ეკონომიკური საქმიანობის პროცესში და განსაზღვროს ავანსირებული კაპიტალის და გამოყენებული აქტივების ეფექტიანობა. არსებობს რენტაბელობის მარტივი და რთული კოეფიციენტები.

რენტაბელობის მარტივი კოეფიციენტებია:

1. დანახარჯების რენტაბელობის კოეფიციენტი ანუ ფასნამატი:

$$\text{ფასნამატი} = \frac{\text{წმინდამოგება}}{\text{თვითღირებულება}} = 15.8/109.439*100=14.4\%$$

ფასნამატი გვიჩვენებს დანახარჯთა ერთეულზე მიღებული მომგებიანობის დონეს. საანალიზო საწარმოს გააჩნია 14.4% ფასნამატი წლიურად, რომელიც წარმოადგენს ფასნამატის ნორმალურ მაჩვენებელს.

2. რეალიზაციის რენტაბელობის (კომერციული რენტაბელობის) კოეფიციენტი ანუ მარჟა:

$$\text{მარჟა} = \frac{\text{წმინდამოგება}}{\text{რეალიზაცია}} = \frac{17,577}{172,625} = 10\% = 15.8/172.625*100=9.1\%$$

მარჟა გვიჩვენებს ფირმის საოპერაციო მომგებიანობის, სხვაგვარად, რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებში წმინდა მოგების სიდიდეს. ფასნამატის გამოთვლის დროს ბაზისი არის თვითღირებულება, ხოლო მარჟის გამოთვლის დროს ბაზისი არის ამონაგები ან რეალიზაცია. საანალიზო საწარმოს მარჟა 9.1%-ია.

3. აქტივების ეკონომიკური რენტაბელობა = წლიური მოგება / აქტივებთან = 16.4/257.380=6.3%.

აქტივების ეკონომიკური რენტაბელობა არის 6.3 %. რაც ნიშნავს რომ 1 ლარ აქტივზე კომპანია 6.3% დამატებით მოგებას გამოიმუშავებს.

ცხრილი 3.3.1. მოცემულია სს „სილქნეტის“ 2014-2018 წლის ფასნამატისა და მარჟის ინფორმაცია პროცენტებში.

### ცხრილი 3.3.1.

სს ”სილქნეტის” ფასნამატისა და მარჟის მაჩვენებლები %-ში 2014-2018 წლებში

მოგება/ზარალის ელემენტები	2014	2015	2016	2017	2018
---------------------------	------	------	------	------	------

საოპერაციო მოგება	19.82	22.11	30.03	29.33	72.49
მოგება რეალიზაციიდან	168.58	80.30	95.57	101.73	242.14
შემოსავალი რეალიზაციიდან	253.36	159.99	161.90	172.63	344.31
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	84.78	79.69	66.33	70.89	102.17
<b>მარჟა (%)</b>					
ა. მოგება რეალიზაციიდან შეფარდებული ამონაგებთან	66.54	50.19	59.03	58.93	70.33
ბ. საოპერაციო მოგების ფარდობა ამონაგებთან	7.82	13.82	18.55	16.99	21.05
<b>ფასნამატი (%)</b>					
ა. მოგება რეალიზაციიდან შეფარდებული პ/რ თვითღირებულებასთან	198.85	100.77	144.09	143.51	237.00
ბ. საოპერაციო მოგების ფარდობა პ/რ თვითღირებულებასთან	23.37	27.74	45.28	41.37	70.95


ცხრილში 3.3.1-ში მოცემულია საანალიზო საწარმოს ინფორმაცია საოპერაციო მოგების, მოგება რეალიზაციიდან, შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლების შესახებ. მოცემული ინფორმაციის მეშვეობით გამოთვლილია საწარმოს მარჟისა და ფასნამატის კოეფიციენტები პროცენტულად.

მოცემული ცხრილს მიხედვით აგებულია დიაგრამები 3.3.1 და 3.3.2 რომელიც თვალსაჩინოდ წარმოადგენს მარჟისა და ფასნამატის ცვლილებას დინამიკაში.

### დიაგრამა 3.3.1.

სს "სილქნეტის" 2014-2018 წლის მარჟის მაჩვენებლები %-ში






დიაგრამაზე მოცემულია მარჯის მაჩვენებლები პროცენტულად, რომლებიც იცვლება დინამიკაში 2014-2018 წლებში. როგორც დიაგრამიდან ჩანს 2015 წელს 2014 წელთან შედარებით მარჯა ეცემა ხოლო შემდეგ 2016 წლიდან ისევ იწყებს ზრდას და 2018 წლისთვის უკვე 70 %-ს აღწევს.

**დიაგრამა 3.3.2.**

**სს "სილქნეტის" 2014-2018 წლის ფასნამატის მაჩვენებლები %-ში**



დიაგრამაზე მოცემულია 2014-2018 წლებში საანალიზო საწარმოს ფასნამატის მაჩვენებელი. დიაგრამაზე ნაჩვენებია რომ 2015 წელს ფასნამატის მაჩვენებელი ეცემა და შემდეგში წლებში ისევ იმატებს და ბოლოს ის 2018 წლისთვის 237 %-ს აღწევს.

4. აქტივების ფინანსური რენტაბელობის (ეკონომიკური რენტაბელობის)

კოეფიციენტი:

$$\text{აქტივების რენტაბელობა} = \text{წმინდა მოგება/აქტივები} = 15.8/257.380=6.1\%$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს წმინდა მოგების დონეს, რომელსაც მიიღება ფირმის ყველა აქტივების გამოყენებით. საანალიზო საწარმოს აქტივების რენტაბელობა წარმოადგენს 6.1%-ს.

საკუთარი კაპიტალის (ფინანსური რენტაბელობის) კოეფიციენტი:

$$\begin{aligned} 5. \text{ ფინანსური რენტაბელობა} &= \text{წმინდა მოგება/საკუთარი კაპიტალი} \\ &= 15.8/100.94=15.6\% \end{aligned}$$

ეს კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოში ჩადებული საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის დონეს. საანალიზო საწარმოს მომგებიანობის დონეს გამოთვლის მიხედვით წარმოადგენს 15.6%-ს.

მოგება/ზარალის ანგარიშების ინფორმაციის საფუძველზე აგრეთვე შეისწავლება საწარმოს მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია ცხრილში 3.3.1. იგი გვიჩვენებს 2014-2018 წლებში მოგების მაჩვენებლების ცვლილებას პროცენტულად.

### ცხრილი 3.3.2.

სს „სილქნეტის“ მოგების მაჩვენებლების დინამიკა %-ში საბაზისო 2014 წელთან შედარებით

მოგება/ზარალის მუხლები	2014	2015	2016	2017	2018
1. მოგება რეალიზაციიდან	100	47.6	56.7	60.3	143.6
2. საოპერაციო მოგება	100	111.6	151.6	148.0	365.8
3. მოგება დაბეგვრამდე	100	106.0	116.6	91.0	(53.1)
4. წმინდა მოგება	100	111.1	256.5	115.0	(74.9)

ცხრილი 3.3.1. აჩვენებს მოგების მაჩვენებლების ცვლილებას 2014-2018 წლებში. იგი გვიჩვენებს რომ მოგება რეალიზაციიდან 2014 წელთან შედარებით. მომდევნო სამი წლის განმავლობაში დაეცა 47.6 %-მდე და შემდეგ დაიწყო ზრდა, რის შედეგადაც 2018 წელს

დაფიქსირდა მაქსიმალური შემოსავალი, რომელიც 143.6 %-ს შეადგენს. საოპერაციო მოგება ყოველწლიურად იზრდება და 2018 წელს ასევე არის მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირებული და ის 365.8%-ს წარმოადგენს. მოგება დაბეგვრამდე 2015-2016 წლებში იზრდება, ხოლო შემდეგ გამოწვეულმა რეფორმამ შეამცირა. ხოლო რაც შეეხება წმინდა მოგებას მისი მნიშვნელობა იზრდება ყოველწლიურად, გარდა 2018 წლისა, რომელიც გამოწვეულია საანალიზო საწაროს მიერ განხორციელებული ოპერაციის მიხედვით, ანუ მან შეისყიდა სხვა კომპანიები რითაც გაიზარდა ხარჯები.

საწარმოს შემოსავლების ანალიზის დროს ასევე მნიშვნელოვანია შევაფასოთ საწარმოს ფინანსური სტაბილურობის დონე. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის დონის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ სპრინგეითის მოდელი, ალთმანის მრავალფაქტორიანი და მოდიფიცირებული მოდელი. ალთმანის მრავალფაქტორიანი მოდელი შემდეგი სახისაა:

$$Z = 3,3 K_1 + 1,0 K_2 + 0,6 K_3 + 1,4 K_4 + 1,2 K_5$$

სადაც:

$K_1$ =მოგება %\_ისა და გადასახადის გადახდამდე / მთელი აქტივები

$K_2$ =ამონაგები რეალიზაციიდან / მთელი აქტივები

$K_3$ =საკუთარი კაპიტალი / მოზიდული კაპიტალი

$K_4$ =დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება / მთელი აქტივები

$K_5$ =საკუთარი საბრუნავი სახსრები (სსს) / მთელი აქტივები

მოცემული კომპანიის მაგალითზე გამოვთალოთ ალთმანის მოდელის მიხედვით არის თუ არა აღნიშნული კომპანია გაკოტრების საფრთხის წინაშე.

$$K_1 = 29.3 / 257.380 = 0.11$$

$$K_2 = 63.186 / 257.380 = 0.25$$

$$K_3 = 100.940 / 156.440 = 0.65$$

$$K_4 = 31.968 / 257.380 = 0.12$$

$$K_5 = 32.731 / 257.380 = 0.13$$

$$Z = (3.3 * 0.11) + (1.0 * 0.25) + (0.6 * 0.65) + (1.4 * 0.12) + (1.2 * 0.13) = 3.175$$

ალთმანის კრედიტუნარიანობის ინდექსის მინიმალური დონე არის 2.675. თუ ინდექსი მასზე დაბალი აღმოჩნდებოდა, საწარმოს 2-3 წელიწადში გაკოტრება ელოდა

სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე. როცა  $Z > 2.675$ , მაშინ საწარმოს უახლოეს მომავალში ფინანსური საფრთხე არ ემუქრება.

სს „სილქნეტის“ მაგალითზე ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა რომ კრედიტუნარიანობის ინდექსი 3.175, რაც იმაზე მიუთითებს რომ კომპანია სილქნეტს ბოლო 2-3 წელიწადში გაკოტრების საფრთხე არ ემუქრება. თუმცა აუცილებელია ფინანსური არასტაბილურობის თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება.

ამ მოდელის ხარვეზად შეიძლება ჩათვალოს ის, რომ გაუნაწილებელი მოგება ყოველთვის არ არსებობს. ამიტომ უკეთესია მოგებიდან შექმნილი რეზერვების მაჩვენებელი იქნას გამოყენებული გაუნაწილებელ მოგებასთან ერთად. მით უფრო მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, საქარველოში გაუნაწილებელი მოგება აღარ არსებობს.

ამ ხარვეზს ასწორებს ალთმანის მოდიფიცირებული ფორმულა, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$Z = 0.717K_1 + 0.847K_2 + 3.107K_3 + 0.42K_4 + 0.995K_5;$$

სადაც:

$K_1$  - არის წმინდა საბრუნავი კაპიტალის (სსს) ფარდობა აქტივებთან;

$K_2$  - არის სარეზერვო კაპიტალისა (მოგებიდან შექმნილი რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების ან ზარალის ჯამის) ფარდობა აქტივებთან;

$K_3$  - საოპერაციო მოგების (ზარალის) ფარდობა აქტივებთან;

$K_4$  - საკუთარი კაპიტალის ფარდობა ვალდებულებებთან (გადაფასების რეზერვების გარეშე)

$K_5$  - ამონაგების ფარდობა აქტივებთან.

ალთმანის მოდიფიცირებული მოდელის გამოყენებით, სს „სილქნეტის“ მაგალითზე, გამოვთვალოთ არის თუ არა კომპანია გაკოტრების საფრთხის წინაშე

$$K_1 = 32.731 / 257.380 = 0.13$$

$$K_2 = 0.546 / 257.380 = 0.02$$

$$K_3 = 29.3 / 257.380 = 0.11$$

$$K_4 = 100.940 / 156.440 = 0.64$$

$$K_5 = 172.6 / 257.380 = 0.67$$

$$Z = (0.717*0.13) + (0.847*0.02) + (3.107*0.11) + (0.42*0.64) + (0.995*0.67) = 1.39$$

როგორც მოგვეხსენება, როცა  $Z < 1.23$  მაშინ ალტმანის მოდიფიცირებული მოდელის მიხედვით გაკოტრების დიდი ალბათობაა. როცა  $1.23 < Z < 2.9$  გაურკვევლობის არეა. ხოლო  $Z > 2.9$  არსებობს გაკოტრების მცირე ალბათობა.

როგორც გამოთვლა აჩვენებს მიღებული კოეფიციენტი 1.39 გვამღევს იმის თქმის საშუალებას, რომ კომპანიას არ ემუქრება გაკოტრება მიმდინარე და მომავალ წელს. ორივე ზემოთ მიღებული კოეფიციენტი გვიჩვენებს რომ აღნიშნულ კომპანია სამომავლოდ იქნება რენტაბელური და არ ემუქრება გაკოტრება.

გაკოტრების მაჩვენებლის გამოთვლა ასევე შესაძლებელია სპრინგეითის მოდელის მიხედვით. აქ ალტმანის მოდელისგან განსხვავებით უფრო ნაკლები მაჩვენებელია.

$$Y = 1.03Y_1 + 3.07Y_2 + 0.66Y_3 + 0.4Y_4$$

სადაც:

$Y_1$  - სსს / აქტივების საშუალო ნაშთი

$Y_2$  - მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე / აქტივების საშუალო ნაშთი

$Y_3$  - წლიური მოგება / მიმდინარე ვალდებულებების საშუალო ნაშთი

$Y_4$  - შემოსავალი რეალიზაციიდან / აქტივების საშუალო ნაშთი

$$Y_1 = 32.731 / 257.380 = 0.13$$

$$Y_2 = 29.3 / 257.380 = 0.11$$

$$Y_3 = 15.8 / 46.155 = 0.34$$

$$Y_4 = 172.625 / 257.380 = 0.67$$

$$Y = (1.03*0.13) + (3.07*0.11) + (0.66*0.34) + (0.4*0.67) = 0.964$$

როგორც ვიცით სპრინგეითის მოდელის მიხედვით გამოთვლილი მაჩვენებელი მეტი უნდა იყოს 0.9 ზე რომ არ ჩაითვალოს გაკოტრების საფრთხის წინაშე. მოცემული გამოთვლებით მტკიცდება კომპანია არ დგას გაკოტრების საფრთხის წინაშე, რაც დასტურდება რომ  $0.964 > 0.9$ .

საანალიზო საწარმოს ჩაუტარდა 3 მოდელის მიხედვით ანალიზი, რომლის მიხედვითაც, სამივე მოდელი ადასტურებს რომ კომპანიას არ ემუქრება გაკოტრება მიმდინარე და მომავალი ორი წლის განმავლობაში, თუმცა კომპანიამ უნდა გამოიჩინოს

სიფრთხილე და ყოელწლიურად გადაამოწმოს არის თუ არა კომპანია გაკოტრების საფრთხის წინაშე.

კორელაცია ორ ცვლადს შორის კავშირის სიძლიერის საზომია. კერძოდ, ორი ცვლადის ცვლილებები დაკავშირებულია თუ არა ერთმანეთთან.

ურთიერთკავშირი ცვლადებს შორის შეიძლება იყოს სრულყოფილი ან ნაწილობრივ დადებითი ან უარყოფითი. დადებითია კორელაცია, როცა ცვლადებს შორის კავშირი პირდაპირპროპორციულია. ხოლო, უარყოფითია კორელაცია, როცა ცვლადებს შორის კავშირი უკუპროპორციულია.

სრულყოფილი დადებითი კორელაცია ნიშნავს, რომ ერთი ცვლადის მაღალი მნიშვნელობები მეორე ცვლადის მაღალ მნიშვნელობებს იწვევს. ან ერთი ცვლადის მცირე მცირე მნიშვნელობები დაავშირებულია მეორე ცვლადის მცირე მნიშვნელობებთან ანუ კავშირი პირდაპირპროპორციულია.

სრულყოფილი უარყოფითი კორელაცია ნიშნავს, როცა ერთი ცვლადის მაღალ მნიშვნელობების მეორე ცვლადის მცირე მნიშვნელობები შეესაბამება და პიქირით. ანუ კავშირი უკუპროპორციულია.

ორ ცვლადს შორის კავშირის ხარისხის დასადგენად კორელაციის კოეფიციენტი ( $r$ ) გამოიყენება. კორელაციის კოეფიციენტს შეუძლია მნიშვნელობები მიიღოს მხოლოდ +1-სა და -1-ს შორის. როცა:

- $r = +1$  გვიჩვენებს სრულყოფილ დადებით კორელაციას;
- $r = 0$  გვიჩვენებს, რომ კორელაცია ანუ კავშირი არ არსებობს;
- $r = -1$  გვიჩვენებს სრულყოფილ უარყოფით კორელაციას.

კორელაციის კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$r = \frac{n * \sum xy - \sum x * \sum y}{\sqrt{[n * \sum x^2 - (\sum x)^2][n * \sum y^2 - (\sum y)^2]}}$$

სადაც:

$x$  - არის დამოუკიდებელი ცვლადი ანუ ფაქტორი;

$y$  - არის დამოკიდებელი ცვლადი ანუ შედეგი;

n - არის წევრთა რიცხვი აღებულ სიმრავლეში.

მოცემულია საანალიზო საწარმოს 5 წლის ინფორმაცია კომერციულ ხარჯებსა და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების შესახებ:

**ცხრილი 3.3.2.**

სს „სილქნეტის“ ინფორმაცია შემოსავალი რეალიზაციიდან

წლები	რეკლამის ხარჯი	შემოსავლები რეალიზაციიდან
2014	19.4	253.4
2015	24.4	160
2016	28.9	161.9
2017	31.3	172.6
2018	31.6	344.3

ცხრილი 3.3.2. ინფორმაციის მიხედვით გამოვთვალოთ კორელაციის კოეფიციენტი. მოცემულ მაგალითში დამოუკიდებელი ცვლადი ანუ ფაქტორი არის კომერციული ხარჯები (x), რადგან ითვლება, რომ რაც მეტი გაიწევა კომერციული ხარჯი, მით მეტი იქნება შემოსავლები რეალიზაციიდან. ხოლო, შემოსავალი რეალიზაციიდან არის დამოკიდებული ცვლადი ანუ შედეგობრივი მაჩვენებელი (y).

წლები	X	X <sup>2</sup>	Y	Y <sup>2</sup>	(X*Y)
2014	19	376	253	64212	4916
2015	24	595	160	25600	3904
2016	29	835	162	26212	4679
2017	31	980	173	29791	5402
2018	32	999	344	118542	10880
ჯამი Σ	136	3785	1092	264356	29781

n – არის წევრთა რიცხვი მწკრივში ანუ წლების რაოდენობა - 5

$$r = \frac{5 * 29781 - 136 * 1092}{\sqrt{[5 * 3785 - 18496][5 * 264356 - 1192464]}} = \frac{148905 - 148512}{\sqrt{429 * 12316}} = \frac{393}{\sqrt{559504}} = \frac{393}{748} = 0.5254$$

$$D = r^2 = 0.276$$

ვინაიდან კორელაციის კოეფიციენტი დადებითია, ნიშნავს რომ კომერციული ხარჯისა და შემოსავლების მაჩვენებლებს შორის კავშირი პირდაპირპროპორციულია და საშუალო დონისაა, რადგან კორელაციის მაჩვენებელი არის მოთავსებული 0-სა და 1-ს შორის, რაც ნიშნავს რომ კომერციული ხარჯის გაზრდა მოახდენს შემოსავლების გაზრდას. დეტერმინაციის კოეფიციენტის მაჩვენებლის მიხედვით შემოსავლების ზრდის 27.6% გამოწვეულია რეკლამის ხარჯის ცვლილებით.

მოგების ანაღზის დროს უნდა განვიხილოთ შემოსავლების, ხარჯების და მოგების ცვლილება დინამიკაში ერთად, რომელიც აჩვენებს თუ როგორ ახდენს ერთის ცვლილება მეორეზე გავლენას და ასევე იძლევა ინფორმაციას საწარმოს საქმიანობების შედეგების ცვლილებებს ბოლო 5 წლის განმავლობაში.

### ცხრილი 3.3.3

სს „სილქნეტის“ შემოსავლის, მოგებისა და ხარჯების მაჩვენებლები 2014-2018 წლებში (ათ.ლ)


მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	253.363	159.989	161.896	172.625	344.31
ხარჯები	239.637	144.738	126.683	156.84	354.586
წმინდამოგება	13.726	15.251	35.213	15.785	(10.276)

ცხრილში 3.3.3 მოცემულია 2014-2018 წლებში საანალიზო საწარმოს შემოსავლების ხარჯების და მოგების მონაცემები დინამიკაში. ცხრილიდან კარგად ჩანს რომ როცა იკლებს საწარმოს ხარჯები შესაბამისად იმატებს მოგების მაჩვენებელი, ხოლო შემოსავლის ზრდასთან ერთად პროპორციულად არ ხდება ხარჯების რაოდენობის ზრდა. ანუ ამ ცხრილის მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების პროპორციული ცვლილება.

### დიაგრამა 3.3.3.



სს „სილქნეტის“ შემოსავლის, მოგებისა და ხარჯების ანალიზი 2014-2018 წლებში %-ში



დიაგრამიდან ჩანს რომ 2015 წელს ეცემა საანალიზო საწარმოს შემოსავლები უფრო ნაკები ტემპით შემცრდა, ვიდრე ხარჯები, რამაც გამოიწვია მოგების გაზრდა ამ პერიოდისათვის. ხოლო მკვეთრი ზრდა შემოსავლების და ხარჯების არის 2018 წელს რამაც გამოიწვია საანალიზო საწარმოს მოგების უარყოფითი ნიშნით დაფიქსირება ანუ ზარალი.

ფაქტორული ანალიზს დროს მოგების ნორმის მაჩვენებელიც შევისწავლეთ. მოგების ნორმა გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტი მოგება მოაქვს 1 ლარ შემოსავალს. იგი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მი მაღალია შემოსავლების მარჟა და სხვა თანაბარ პირობებში, აქტივების მომგებიანობა იზრდება. გამოთვლილი მოგების ნორმის კოეფიციენტიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ ყოველ 1 ლარ შემოსავლას მოაქვს 70% მოგება. როგორც ცნობილია რაც უფრო ახლოსაა მოგების ნორმის მაჩვენებელი ერთთან მით მაღალია შემოსავლების მარჟა და ასევე იზრდება კომპანიის აქტივების მომგებიანობაც.

შემოსავლები თავის მხრივ, გავლენას ახდენენ მომგებიანობაზე. მისი ფაქტორული ანალიზისთვის სააქციო კაპიტალის უკუგების მაჩვენებელი დიუპონის ხუთ ფაქტორიანი მოდელის სახით არის წარმოდგენილი.

$$ROE = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{წლიური მოგება}} * \frac{\text{წლიური მოგება}}{\text{მოგება \%_მდე}} * \frac{\text{მოგება \%_მდე}}{\text{წლიური შემოსავალი}} * \frac{\text{წლიური შემოსავალი}}{\text{აქტივები}} * \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

მოგება %\_მდე არის მოგება პროცენტის ხარჯის გამოქვითვამდე ანუ საოპერაციო მოგება. ხოლო, აქტივები და სააქციო კაპიტალი აიღება საშუალო ნაშთის სახით ბუღალტრული ბალანსიდან.

მოგების ნორმა = მოგება რეალიზაციიდან/შემოსავალი რეალიზაციიდან =  $\frac{242.142}{344.31} = 0.7$

საანალიზო საწარმოს მიხედვით ცხრილში 2.3.2. გამოთვლილია ROE კოეფიციენტი და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნა.

მოცემული ტოლობის მიხედვით შეიძლება სააქციო კაპიტალის გადახრაზე მოქმედი ხუთი ფაქტორის ცვლილების გავლენის გაზომვა, როგორცა

**ცხრილი 2.3.2.**

**სს „სილქნეტის“ სააქციო კაპიტალის უკუგების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შედეგები 2018**

მაჩვენებლები	წინა წელს	მიმდინარე წელს	გადახრა
გადახრაზე მოქმედი ფაქტორები:			
I წმინდა მოგების ფარდობა წლიურ მოგებასთან	1.7580	0.9636	-0.7944
II წლიურ მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან	0.6748	0.5586	-0.1162
III საოპერაციო მოგების მარჟა	0.1717	0.1699	-0.0018
IV აქტივის შემოსავლიანობა	0.6624	0.6707	+0.0083
V ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	2.5323	2.5498	+0.0175

**ცხრილი 2.3.2**

**უკუგებს გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა**

ფაქტორები	გავლენა
I წმინდა მოგების ფარდობა წლიურ მოგებასთან	-0.2714
II წლიურ მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან	-0.0323
III საოპერაციო მოგების მარჟა	-0.0016
IV აქტივის შემოსავლიანობა	+0.0019
V ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	+0.0011
<b>ROE</b>	<b>-0.3023</b>

ფაქტორთა გავლენის გზომვის მეთოდის აბსოლიტური სხვაობის ხერხით შემდეგია:

პირველი ფაქტორის გავლენა =  $(-0.7944) \cdot 0.6748 \cdot 0.1717 \cdot 0.6624 \cdot 2.5323 = -0.2714$

მეორე ფაქტორის გავლენა =  $0.9636 \cdot (-0.1162) \cdot 0.1717 \cdot 0.6624 \cdot 2.5323 = -0.0323$

მესამე ფაქტორის გავლენა =  $0.9636 \cdot 0.5586 \cdot (0.5586) \cdot 0.6624 \cdot 2.5323 = -0.0016$

მეოთხე ფაქტორის გავლენა =  $0.9636 \cdot 0.5586 \cdot 0.1699 \cdot (0.0083) \cdot 2.5323 = +0.0019$

მეხუთე ფაქტორის გავლენა =  $0.9636 \cdot 0.5586 \cdot 0.1699 \cdot 0.6707 \cdot (0.0175) = +0.0011$

ამრიგად, როგორც გაანგარიშებები აჩვენებს, სააქციო კაპიტალის უკუგების გადახრაზე სამმა ფაქტორმა მოახდინა უარყოფითი გავლენა, დანარჩენმა კი დადებითი. კერძოდ, წმინდა მოგების ფარდობამ წლიურ მოგებასთან სააქციო კაპიტალის უკუგება შეამცირა 0.2714 პუნქტით; წლიური მოგების ფარდობამ საოპერაციო მოგებამდე კაპიტალის უკუგება შეამცირა 0.0323 პუნქტით; საოპერაციო მოგების ფარდობამ წლიურ შემოსავლასთან კაპიტალის უკუგება შეამცირა 0.0016 პუნქტით, ხოლო აქტივების შემოსავლიანობის ზრდამ კი 0.0019 პუნქტით გაზარდა კაპიტალის უკუგება და ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტმა კი კაპიტალის უკუგება გაზარდა 0.0011 პუნქტით. საბოლოო ჯამში, კი სააქციო კაპიტალის უკუგება, წინა წელთან შედარებით 0.3023 პუნქტით შემცირდა.

## დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე სამაგისტრო შრომაში: „შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და ანალიზი“ განხილული იქნა შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვისა და ანალიზის თავისებურებები. აგრეთვე მოგებისა და მომგებანობის მაჩვენებლები სს „სილქნეტის“ მაგალითზე.

შემოსავლები და ხარჯები წარმოადგენს საწარმოში მთავარ კომპონენტს, რადგან მათი მეშვეობით ხდება შემდგომში საწარმოს საბოლოო შედეგის ანუ მოგების გამოთვლა. შემოსავლები და ხარჯები იყოფა სხვადასხვა სახეებად, რომელიც ამარტივებს და ეხმარება საწარმოს მენეჯერებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩატარებაში.

გამოთვლებით დგინდება, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში შემოსავლების სტრუქტურული მაჩვენებელი სტაბილურია, გარდა 2015 წლისა, სადაც 5%-ით გაიზარდა საპროცენტო შემოსავლები, ხოლო დანარჩენ წლებში შემოსავალი რეალიზაციიდან და საპროცენტო შემოსავალი ყოველწლიურად საერთო შემოსავლში ერთიდაიგივე პროცენტული რაოდენობისაა.

სს „სილქნეტის“ დინამიკა 2014 წელთან შედარებით აჩვენებს, რომ 2015 წლიდან მოყოლებული შემოსავალი რეალიზაციიდან ყოველწლიურად იზრდება და იგი 2018 წელს მაქსიმალურ შედეგს აღწევს, რომელიც წარმოადგენს 35 %-ით ზრდას 2014 წელთან შედარებით.

ფაქტორული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სს „სილქნეტის“ შემოსავლის ორივე მაჩვენებელი, შემოსავალი რეალიზაციიდან და საპროცენტო შემოსავალი იზრდება, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიას გააჩნია შემოსავლების ზრდის ტემპი.

სს „სილქნეტის“ სააქციო კაპიტალის უკუგების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შედეგები აჩვენებს, რომ სააქციო კაპიტალის უკუგება, წინა წელთან შედარებით 0.3023 პუნქტით შემცირდა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორის ცვლილების გავლენით. უკუგების გადახრაზე უარყოფითად მოქმედებს წმინდა მოგების ფარდობა წლიურ მოგებასთან, წლიურ მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან და საოპერაციო მოგების მარჟა, ხოლო დადებითად აქტივის შემოსავლიანობა და ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი.

სს „სილქნეტის“ ხარჯების სტრუქტურული ანალიზის შედეგად რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებელი საერთო დანახარჯებში ყოველწლიურად მცირდება, ხოლო საერთო ადმინისტრაციული ხარჯების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში იზრდება პროცენტულად. ასევე ბოლო პერიოდში იზრდება კომერციული ხარჯი, გარდა 2018 წლისა და საგრძნობლად მცირდება მოგების გადასახადის ხარჯი, რომელიც გამოწვეულია საკანონმდებლო ცვლილებით.

ხარჯების დინამიკური ანალიზის შედეგები განსხვავდება ერთმანეთისაგან. რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა დინამიკაში იკლებს, გარდა 2018 წლისა, რომელიც გამოწვეულია პროდუქციის რაოდენობის ზრდით. კომერციული და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯებს 2014 წელთან ახასიათებს შემცირება, გარდა 2015 წლისა. მოგების გადასახადი კი ყოველწლიურად იკლებს დინამიკაში 2014 წელთან შედარებით.

მოგება რეალიზაციიდან საბაზისო 2014 წელთან შედარებით ყოველწლიურად იკლებს და მხოლოდ 2018 წელს არის ის მასზე მეტი. საოპერაციო მოგება ხასიათდება ზრდის ტემპით საბაზისო 2014 წელთან შედარებით და შემდეგ ის ყოველ წლიურად იზრდება. მოგება დაბეგვრამდე კი ყოველწლიურად მცირდება და ბოლოს 2018 წელს ზარალიც კი მიიღება. წმინდა მოგებას, გარდა 2018 წლისა, სადაც არის ზარალი, ყოველწლიურად გააჩნია ზრდის ტემპი საბაზისო 2014 წელთან შედარებით.

ანალიზის შედეგად გამოთვლილია საწარმოს მომგებიანობის მაჩვენებელი რის შედეგადაც მივიღეთ, საწარმოს ფასნამატი არის 14.4 %, ხოლო მარჟა 9.1 %. აქტივების ფინანსური და ეკონომიკური რენტაბელობა მხოლოდ 0.2%-ით განსხვავდება, სადაც აქტივების ფინანსური რენტაბელობა არის 6.1 %-ის და აქტივების ეკონომიკური რენტაბელობა არის 6.3%. საკუთარი კაპიტალის უკუგება უდრის 15.6%-ს.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის დონე გამოთვლილია 3 მოდელის, სპრინგეითის, ალთმანის მრავალფაქტორიანი და მოდიფიცირებული მოდელებით, რომლის მიხედვითაც ალთმანის მრავალფაქტორიანი მოდელის შედეგად მღებულია 3.175, ალთმანის მოდიფიცირებული მოდელის შედეგად მიღებულია 1.39 კოეფიციენტი, სპრინგეითის მოდელის მიხედვით არის 0.964. სამივე სემთხვევაში კომპანიას არ ემუქრება გაკოტრება და ის აკმაყოფილებს იმ მინიმალურ ზღვარს რომელიც საჭიროა, თუმცა შედეგები ძალიან ახლოსაა მინიმალურ დონესთან, ზღვართან ამიტომ

მენეჯერმა ხშირად უნდა აკონტროლონ რისკები, რომ კომპანია შემდეგში არ აღმოჩნდეს გაკოტრების საფრთხის წინაშე.

კორელაციის ანალიზის შედეგად, რომელიც გამოთვლილია რეკლამის ხარჯებსა და შემოსავალი რეალიზაციის შორის, არსებობს დადებითი კორელაცია და მიღებულია 0.5254 კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს რომ რეკლამის ხარჯები და შემოსავალი ერთმანეთის პირდაპირპროპორციული არიან, და რაც მეტი იქნება რეკლამის ხარჯები კომპანია მით უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

ამრიგად ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე სს „სილქნეტი“ წარმოადგენს დიდი კაპიტალის მქონე კომპანიას, რომელიც წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას და შესაბამისად იზრდება ყოველწლიურად, როგორც აქტივების რაოდენობით ასევე შემოსავლების ზრდის კუთხით. ასევე ანალიზის საფუძველზე ის არის უსაფრთხო და არ დგას გაკოტრების საფრთხის წინაშე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ატკინსონი ე. კაპლანი რ. მათიუსი ე. „მმართველობითი აღრიცხვა“. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2009 წ.

2. დოლიაშვილი თ. და ლილუაშვილი გ. „ბუღალტრული აღრიცხვა“ გამომცემლობა თბილისი 2015 წ.
3. სახოკია ა. ანანიძე ჯ. სახოკია გ. „ფინანსური აღრიცხვა“ 2015 წ.
4. ჭილაძე ი. „დანახარჯების აღრიცხვის სისტემები“ „გამომცემლობა “მერანი”, თბილისი 2009 წ.
5. ჭილაძე ი. „მმართველობითი აღრიცხვა“ 2016 წ.
6. ჭილაძე ი. „ფინანსური ანალიზი“ 2018 წ.
7. ხარაბაძე ე. „ფინანსური აღრიცხვა“ 2018 წ.
8. ხარაბაძე ე. „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ 2015 წ.
9. ხარაიშვილი ე. გაგნიძე. ი ჩავლეიშვილი მ. „მაკროეკონომიკა“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2014 წ.
10. ხორავა ა. კვატაშიძე ნ. გოგრიჭიანი ზ. სრესელი ნ. „ბუღალტრული აღრიცხვა“ გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013 წ.
11. ჰორნი ჯ. და ვაჰოვიჩი ჯ. „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2008 წ.
12. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.
13. მმართველობითი აღრიცხვის სახელმძღვანელო ACCA. წიგნი F2. საერთაშორისო პრაქტიკა. თარგმანი ინგ. თბილისი 2007 წ.
14. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2017 წ.
15. ფინანსური ანგარიშგების სახელმძღვანელო ACCA. წიგნი F7. საერთაშორისო პრაქტიკა. თარგმანი ინგ. თბილისი 2010 წ.
16. ფინანსური მართვის სახელმძღვანელო ACCA. წიგნი F9. საერთაშორისო პრაქტიკა. თარგმანი ინგ. თბილისი 2010 წ.
17. А.Д. Шеремет Е.Д. Негашев, Методика Финансового Анализа деятельности коммерческих организаций, 2008
18. <http://www.rs.ge/5583>- შემოსავლების სამსახური.
19. <https://accountingexplained.com/financial/introduction/revenue-International MBA Spain>.
20. <https://www.accountingtools.com/articles/cost-classification.html> –Accountingtools.
21. <http://www.accountingverse.com/managerial-accounting/cost-concepts/types-of-costs.html>–accountingverse.
22. <https://www.linkedin.com/pulse/revenue-definition-importance-types-accounting-fareed>– Revenue - definition, Importance and Types of Revenue in Accounting.

## დანართი

### დანართი 1.

სს „სილქნეტის“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

'000 ლარი

აქტივები	თანხა ათ.ლ.
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>	
ძირითადი საშუალებები	194.519
არამატერიალური აქტივები	16.526
სხვა გრძელვადიანი აქტივები	13.604
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	224.649
<b>მიმდინარე აქტივები</b>	
მარაგები	8.424
გადახდილი მოგების გადასახადი	1.495
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20.291
ანაბარი შეზღუდული სარგებლობის უფლებით	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	2.521
სულ მიმდინარე აქტივები	32.731
სულ აქტივები	257.380
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>	
კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი	68.172
გაუნაწილებელი მოგება	31.968
კომპანიის მესაკუთრეებისთვის განკუთვნილი კაპიტალი	100.140
არაკონტროლირებადი წილი	0.800
სულ კაპიტალი	100.940
ვალდებულებები	
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	



სესხები	71.482
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1.200
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	37.603
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	110.285
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>	
სესხები	5.044
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.464
წინასწარ გადახდილი საკონტრაქტო ვალდებულება	9.101
გადასახდელი მოგების გადასახადი	0.546
სულ მიმდინარე ვალდებულებები	46.155
სულ ვალდებულებები	156.440
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	257.380

## დანართი 2.

სს „სილქნეტის“ მოგება/ზარალის ანგარიშგების 2014-2018 წლების დინამიკის სამუშაო ცხრილი

მოგება/ზარალის მუხლები	2014	2015		2016		2017		2018	
	ათას ლ	ათას ლ	%_ად 2014 წ_თან	ათას ლ	%_ად 2014 წ_თან	ათას ლ	%_ად 2014 წ_თან	ათას ლ	%_ად 2014 წ_თან
შემოსავალი რეალიზაციიდან	253.4	160.0	63.1	161.9	63.9	172.6	68.1	344.3	135.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(984.8)	(79.7)	94.0	(66.3)	78.2	(70.9)	83.6	(102.2)	120.5
<b>მოგება რეალიზაციიდან</b>	<b>168.6</b>	<b>80.3</b>	47.6	<b>95.6</b>	56.7	<b>101.7</b>	60.3	<b>242.1</b>	143.6
კომერციული ხარჯი	(919.4)	(24.40)	125.5	(28.9)	148.8	(931.3)	161.2	(31.6)	162.4
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი	(29.3)	(33.8)	115.2	(36.6)	124.8	(41.1)	140.0	(138.1)	470.8
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>19.8</b>	<b>22.1</b>	111.6	<b>30.0</b>	151.6	<b>29.3</b>	148.0	<b>72.5</b>	365.8
საპროცენტო შემოსავალი	6.8	13.2	193.0	0.3	5.0	0.9	13.3	2.7	39.9
საპროცენტო ხარჯი	(8.2)	(11.2)	135.9	(10.2)	124.8	(13.9)	168.7	(47.2)	575.4
უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული მოგება (ზარალი)	(0.4)	(5.0)	1208	0.9	(208.7)	0.0	0.0	(37.5)	9020.9
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>18.0</b>	<b>19.1</b>	106.0	<b>21.0</b>	116.6	<b>16.4</b>	91.0	<b>-9.6</b>	-53.1
მოგების გადასახადი	(4.3)	(3.8)	89.5	14.2	(331.8)	(0.6)	13.9	(0.7)	16.8
<b>წმინდა მოგება</b>	<b>13.7</b>	<b>15.3</b>	111.1	<b>35.2</b>	256.5	<b>15.8</b>	115.0	<b>(10.3)</b>	(74.9)